პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სალიტერატურო გაზეთი

ფასი 40 კაპ.

1933 წ. 17 დეკემბერი | საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური გაზეთი | № 26 (53)

მომზადებული შევხვდეთ საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობას

საკავშირო ორგკომიტეტის ბრიგადის მუშაობის შედეგები

5 დეკემბერს, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის და მწერალთა აქტივის გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა საკავშირო ორგკომიტეტის ბრიგადის თავმჯდომარის ამხ. პ. პავლენკოს მოხსენება ბრიგადის მიერ ჩატარებულ მუშაობის შედეგების შესახებ.

ამხ. პ. პავლენკოს მოხსენება

— საქართველოში ბრიგადის მოვლინების მთავარი მიზანი იყო გაგვერკვია, თუ როგორ მიმდინარეობს სამზადისი მწერალთა საკავშირო ყრილობისათვის და აგრეთვე დავხმარებოდა საქართველოს სალიტერატურო ორგანიზაციებს მოსამზადებელ მუშაობის გაშლაში. მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობაზე საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების მწერლობა უნდა წარსდგეს მთელი თავისი მრავალფეროვანებით, მთელი თავისი იდეურ მხატვრული მარაგით, მხატვრული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებით. ყრილობაზე გასაგზავნად უნდა შეირჩეს საუკეთესო მხატვრული, თეორეტიული ძალები. ყოველი ხალხის მწერალთა დელეგაცია ყრილობაზე უნდა გამოვიდეს, როგორც აქტიური ძალა, რომელსაც ექნება მომზადება და უნარი პასუხი გასცეს ლიტერატურის და მხატვრული შემოქმედების ყველა იმ მტკივნეულ პრობლემებს, რომელთა დამუშავებას გულისხმობს ყრილობის დღის წესრიგში დასმული მოხსენებები. ყოველი ხალხის მწერლობის წარმომადგენლობამ ყრილობაზე წამოჭრილი საკითხების განხილვის დროს თავის გამოსვლით უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ხალხის ლიტერატურა სდგას თანამედროვე მოწინავე საბჭოთა ლიტერატურის იდეურ-მხატვრულ სიმაღლეზე. არც ერთი ხალხის მწერლობა მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე თავს არ უნდა გრძნობდეს უბრალო სტუმრად,—ყრილობის პასიურ მონაწილედ. ყრილობამ მთელ ქვეყანას უნდა დაანახვოს, რომ არსებობს ერთი დიდი საბჭოთა ლიტერატურა, რომლის შექმნაში მონაწილეობს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების მწერლობა,

სწარმოებს თუ არა საქართველოში ისეთი მზადება, რომ საქ. მწერლობა ყრილობას წარუდგეს ისე, როგორც შეეფერება ქართულ მდიდარ ლიტერატურას? —მუშაობა სწარმოებს, მაგრამ არა ისეთი ტემპით, და დაინტერესებით, როგორც ამას ყრილობის დიდი მნიშვნელობა მოითხოვს. საქართველოს მწერლებს ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გაუთვალისწინებიათ ამ ყრილობის როლი და დანიშნულება. ამიტომ ბევრი მწერალი პასიურობას იჩენს ყრილობის მოსამზადებელი მუშაობისადმი, არ ცდილობს, რომ ეს მუშაობა გადაიქცეს მთელი საქ. საბჭ. საზოგადოებრივობის საქმედ. არ არის გაშლილი დისკუსიები იმ პრობლემების გარშემო, რომელიც ყრილობაზე უნდა გაირჩეს. მწერალთა კავშირს ჯერ არც გამოუყვია მოხსენებლები — ყრილობის დღის წესრიგში დასმულ საკითხებზე. სუსტად მიმდინარეობს მუშაობა ახალგაზრდა მწერალთა კადრების მოსამზადებლად და წამოსაწევად მწერლობაში. ჯგუფები არ არსებობენ, მაგრამ ცალკე მწერლებს ჯგუფური განწყობილება ჯერ ვერ დაუძლევიათ. არსებობს, ასე ვსთქვათ, პერსონიფიცირებული ჯგუფობრიობა. ეს იმით აიხსნება, რომ ზოგი მწერალი ჯერ კიდევ ვერ გასცილებია ვიწრო ლიტერატურულ ინტერესებს, ლიტერატურის და მხატვრული შემოქმედების საკითხების გადაწყვეტა ვერ დაუკავშირებია სოციალისტური მშენებლობის, საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებთან. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მწერალთა კავშირმა და გაშალოს მუშაობა მუშათა მასებთან მწერლების კიდევ უფრო დასაახლოვებლად, სოციალისტური მშენებლობაში მწერლების უფრო ორგანიული მონაწილეობის გასაღრმავებლად. ეს მთავარი პირობაა იმისათვის, რომ საბჭოთა მწერალმა ნამდვილად თავი იგრძნოს სოციალისტური მშენებლობის აქტიურ მონაწილედ, უკუაგდოს ჯგუფობრივი ბრძოლა, თავისი ლიტერატურული ინტერესები აიყვანოს მუშათა კლასის ამოცანების და პარტიის მოთხოვნების სიმაღლეზე.

ბრიგადა მწერალთა კავშირთან ერთად მიზნად ისახავს მოახდინოს საქ. საბჭოთა მწერლების მთელი მასის შემობრუნება საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დასმულ დიდი ამოცანებისაკენ,—ამიტომ იგი არ კმაყოფილდება იმით, რაც ტფილისში ყოფნის დროს გააკეთა, და ფიქრობს თავისი მუშაობას მისცეს უფრო ხანგრძლივი ხასიათი. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმთან ერთად მან გამოიმუშავა კონკრეტული ღონისძიებები, რომ დამყარდეს უფრო მტკიცე, მუდმივი კავშირი საქ. მწერლობასთან. ბრიგადას ერთერთ ასეთ ღონისძიებად მიაჩნია ქართველ საბჭოთა მწერლების უახლოესი მონაწილეობა საბჭოთა კავშირის სალიტერატურო პერიოდულ გამოცემებში და პირიქით — საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების მწერლებისა— ქართულ პერიოდულ გამოცემებში. მოკლე ხანში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რუსმა მწერალმა იცოდეს, თუ რა ხდება საქ. ლიტერ. ცხოვრებაში და პირიქით.

ბრიგადის მიერ საქ. ლიტერ. ცხოვრების გაცნობას და მის მიერ გამომუშავებულ ღონისძიებებს უნდა მოჰყვეს პირველი კონკრეტული შედეგები უახლოეს თვეებში — ყრილობამდე.

ამ ხუთ თვეში უნდა ითარგმნოს და გამოიცეს საქ. საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმთან შეთანხმებით ჩვენ უკვე შევადგინეთ ამ ნაწარმოებთა სია და გავანაწილეთ სხვადასხვა გამომცემლობებს შორის. მწერალთა კავშირთან ჩამოყალიბდა მთარგმნელთა სექცია, რომელსაც ევალება გეგმიან ორგანიზაციულ კალაპოტში ჩააყენოს თარგმნის საქმე, თავი მოუყაროს მაღალი კვალიფიკაციის მთარგმნელებს, შეუქმნას მათ ისეთი პირობები, რომ შესძლონ ქართული დიდის შესატყვისი ნაწარმოების მოცემა თარგმანში. უნდა შეიქმნეს შემოქმედ, ნამდვილ ოსტატ მთარგმნელების მთელი კადრი, რომელიც იკისრებს არა მარტო ყრილობისათვის გათვალისწინებულ წიგნების, არამედ ყველა ღირსშესანიშნავ ქართული ნაწარმოებების თარგმანს, 1936 წლისათვის გათვალისწინებულია გამოიცეს ქართული ლიტერატურის ანტოლოგია, რომელშიაც შევა ქართული ლიტერატურის პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშები უძველესი დროიდან დაწყებული უკანასკნელ დრომდე. ასე რომ მუშაობა ქართული ლიტერატურის გამოსაცემად და გასატანად საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან მასებში ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს; ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მივაღებინოთ რუსული მხატვრული სიტყვის საუკეთესო ოსტატებს.

ამ მოკლე ხანში ბრიგადის მიერ აქ შესრულებული საქმე მხოლოდ შესავალია იმ დიდი მუშაობის, რომელიც ამ ახლო მომავალში უნდა გაშალდეს და რომლის შედეგად ყველაფერი ის, რაც ძვირფასი და დასაფასებელია ქართულ ლიტერატურაში, მისაწვდომი უნდა გახდეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებისათვის.

ბრიგადის მუშაობის შესახებ თავის მოსაზრებები გამოსთქვეს ბრიგადის დანარჩენმა მონაწილეებმა და ქართველმა მწერლებმა.

კამათი

ამხ. ბესო ჟღენტის აზრით, მომხსენებელი არ ემყარებოდა სწორ ინფორმაციას, როცა ამბობდა, თითქოს ქართველი მწერლები საკმაოდ ვერ ითვალისწინებდნენ ყრილობის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას, თითქოს დღემდე მცირე რამ გაკეთებულიყოს ყრილობის მოსამზადებლად. ყველა იმ პრობლემებს გარშემო, რომელიც დასმულია ყრილობის დღის წესრიგში, მწერალთა კავშირმა ჩაატარა დისპუტები, გათვალისწინებულია აგრეთვე მთელ რიგ დისკუსიების მოწყობა ლიტერატურის თეორეტიულ საკითხებზე და ცალკე მწერალთა შემოქმედებაზე. უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა მასიურ-ლიტერატურული მუშაობა. მწერალთა ახალი კადრების მოსამზადებლად მოეწყო სალიტ.-საკონსულტაციო კაბინეტი, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს. მწერლების საუკეთესო ნაწილი თანდათან უფრო მჭიდროდ უკავშირდება სოციალისტურ მშენებლობას, ეცნობა, სწავლობს და იღებს მის ცალკე დარგებს თავის მხატვრული შემოქმედების ობიექტად. მიუხედავად ამისა მზადება ყრილობისათვის ჩვენში დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობდა და ამის მიზეზი იყო არა მარტო საქართველოს სალიტერატურო ორგანიზაციების მუშაობა, არამედ მწერალთა საკ. ორგკომიტეტიც, რომელიც დაგვპირდა კონკრეტულ მითითებების მოცემას, მოსამზადებელ მუშაობაში მიღებულ გამოცდილების გაზიარებას, ინსტრუქციების გზავნას, სისტემატიურ წერილობითი და ცოცხალი კავშირის გაბმას, მაგრამ ეს დაპირება არ შეასრულა. ორგკომიტეტის ასეთი უყურადღებობა რესპუბლიკებში მიმდინარე მოსამზადებელი მუშაობისადმი დაარღვია ჩამოსულმა ბრიგადამ, რომელმაც თავისი მუშაობით გააცხოველა სამზადისი და გაამახვილა საქართველოს მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება ყრილობის წინაშე დასმულ საკითხებზე, ეს ცოცხალი კავშირი რესპუბლიკების სალიტერატურო ორგანიზაციებსა და ორგკომიტეტს შორის უნდა გაგრძელდეს მთელ მოსამზადებელ პერიოდში და კიდევ უფრო გაღრმავდეს ყრილობის შემდეგ.

ამხ. **კირპოტინის** სიტყვით, არ არის სწორი მოსაზრება, თითქოს საქართველოში ჩამორჩენილი იყოს თეორეტიული აზროვნება, მხატვრული ლიტერატურის სფეროში. ბრიგადის შეხვედრამ ქართულ დრამატურგებთან ცხადჰყო, რომ მათ განხილული და დამუშავებული აქვთ საბჭოთა დრამატურგიის პრობლემები, რომ მათ აქვთ მეტად საინტერესო და საგულისხმო მოსაზრებები დრამატურგიის საკითხებზე, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი მდგომარეობაა მხატვრული ლიტერატურის სხვა ჟანრების შესწავლის საქმეში.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საქ. ლიტერატ. საზოგადოებრიობა მზად არის ყრილობისათვის. ყრილობის დღის წესრიგში შეტანილია რამოდენიმე ახალი საკითხი, რომლის შესახებ თავისი სიტყვა უნდა სთქვას საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მწერლობამ. ეს საკითხები მთელი სიღრმით უნდა დამუშავდეს ჯერ მწერალთა წრეებში და შემდეგ გადატანილ იქნეს ფართო მასებში, ყრილობა გადაიდო სწორედ იმიტომ, რომ მთელი ქვეყანა დაინტერესდეს საბჭოთა ლიტერატურის საკითხებით და მომზადებული შეხვდეს ყრილობას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე **ტიციან ტაბიძემ, ა. შარიფმა, კონსტ. გამსახურდიამ, პლ. ქიქოძემ, სანდრო ეულმა**. თათბირი დამთავრდა ამხ. **მალაქია ტოროშელიძის** დასკვნითი სიტყვით.

ამხ. მალაქია ტოროშელიძის სიტყვა

ბრიგადის მუშაობა იყო საკმაოდ ნაყოფიერი — განაცხადა ამხ. მალაქიამ, მან გამოამჟღავნა ჩვენი სალიტერატურო ორგანიზაციების მუშაობის სუსტი მხარეები. უნდა დავეთანხმოთ ბრიგადას, რომ ჩვენი მწერლები ვერ იჩენენ საკმაო ინტერესს და აქტივობას ყრილობის მოსამზადებელ მუშაობაში.

ბრიგადის დასკვნები უნდა იქნეს ჩვენთვის უკანასკნელი გაფრთხილება. ყოველი მწერალი უნდა გაიმსჭვალოს უდიდეს პასუხისმგებლობის გრძნობით საბჭოთა ლიტერატურის წინაშე, რომელიც მოწინავე წამყვანი ლიტერატურაა მთელ მსოფლიოში. ამ პასუხისმგებლობის შეგნება უნდა ავალებდეს თვითეულ საბჭოთა მწერალს,— რომ აქტიურად ჩაებას მოსამზადებელ მუშაობაში, გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ მთელი ქართული საბჭოთა მწერლობა ღირსეულად წარუდგეს ყრილობას. სჯობს სრულიად არ წავიდეთ ყრილობაზე.. ვიდრე შევხვდეთ მას მოუმზადებელი.

ჯგუფობრიობის სრული აღმოფხვრა, შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღება, დისპუტების მოწყობა ყრილობის დღის წესრიგში დასმულ საკითხებზე, ლიტერატურული საკითხების ფართო მასებში გადატანა, მწერალთა ახალი კადრების აღზრდა, სოციალისტური მშენებლობის შესწავლა—მასთან უფრო მჭიდროდ დაკავშირება — ბრძოლა ამ ამოცანებისგადაწყვეტისათვის — არის ბრძოლა საბჭოთა მწერლების სრულიად საკავშირო ყრილობის საუკეთესო მომზადებისათვის.

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს ბრიგადის მიერ ჩატარებულ მუშაობას და მის მიერ წარმოდგენილ ღონისძიებებს.

მთარგმნელთა სექცია

სამ დეკემბერს მწერალთა სასახლეში შესდგა მთარგმნელთა თათბირი.

თათბირი გახსნა ამხ. დ. დ[illegible] რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ საკ. ორგკომიტეტის ბრიგადის მიერ შერჩეულ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებების თარგმნა მოითხოვს გამოცდილ მთარგმნელების შერჩევას, გეგმიანობის და სისტემის შეტანას მათ მუშაობაში.

ამ მიზნით მწერალთა კავშირთან ეწყობა მთარგმნელთა სექცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქართული პროზის და პოეზიის ახალ ნაწარმოებთა სისტემატიური გადათარგმნა და მიწოდება გამომცემლობებისა და ჟურნალებისათვის.

ბრიგადის თავმჯდომარემ პ. პავლენკომ თათბირს დაუსახელა ის ნაწარმოებები რომელთაც სცემენ რუსეთის სხვადასხვა გამომცემლობანი და რომელნიც პირველ რიგში უნდა ითარგმნოს.

მცირე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა გამოჰყო მთარგმნელთა სექციის ბიურო ამხ. **ლიდა გასვიანის, ვალ. გაფრინდაშვილის, ალი არსენიშვილის** და **პროფ. ს. დანელიას** შემადგენლობით.

10 დეკემბერს მწ. კავშირის პრეზიდიუმმა განიხილა სექციის მუშაობის გეგმა და მისი უახლოესი ამოცანები.

ბრიგადის წევრები ქართველ დრამატურგებთან

5 დეკემბერს მწერალთა სასახლეში ერთმანეთს შეხვდენ საბჭოთა მწერლების სრ. საკავშირო ორგკომიტეტის და ბრიგადის წევრები (**ვ. კირპოტინი, ნ. ტიხონოვი, პ. პავლენკო, ვ. გოლცევი, გატოვი, კოლოსოვი**) და საქ. დრამატურგები. გაიმართა საუბარი.. დრამატურგ **შალვა დადიანის** თავმჯდომარეობით.

გერცელ ბააზოვმა ბრიგადის წევრებს გააცნო ქართველ დრამატურგთა მუშაობა. ქართული თეატრის რევოლიუციის წინადროინდელი და ახლანდელი მუშაობის ვრცელი მიმოხილვით გამოვიდა ამხ. გ. **ბუხნიკაშვილი**. ამავე თემაზე ილაპარაკა რეჟ. **აკაკი ფაღავამ**. ამხ. კირპოტინი ვრცლად შეჩერდა საბჭოთა თეატრის ამოცანებზე და დრამატურგიის წამყვან [illegible] თეატრალურ ხელოვნებაში.

[illegible] პიესების ნაკლზე ილაპარაკა **ნ. ტიხონოვმა**. ნ. კოლოსოვი შეეხო ზოგიერთ პიესების ზერელობის სქემატიურობის მიზეზებს.

— კარგი პიესა ის არის, სადაც [illegible] დიალოგია და არა სიუჟეტი,—განაცხადა **პ. პავლენკომ**.

ამ დებულების წინააღმდეგ ილაპარაკა ამხ. პ. **სამსონიძემ**. **შეხვედრა** დაამთავრა ამხ. ბ. ჟღენტის დასკვნითი სიტყვით.

წითელარმიელებთან

29 ნოემბერს წითელი არმიის სახლში მოეწყო მხედრებისა და მწერლების შეხვედრა. სიტყვები წარმოსთქვეს ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. **პ. მიროტაძემ**, პოლიტსამმართველოდან ამხ. **კურმა**, ბიბლიოთეკიდან ამხ. **შალამოვმა** მწერალთა კავშირიდან ამხ. **ბობოხიძემ** და ალ. **სულავამ**. რუს მწერალთა ბრიგადიდან ამხ. **ვ. გოლცევმა** და წითელარმიელმა ამხ. **ლოპატომ**. მხატვრულ ნაწილში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: **პ. პავლენკომ, ნ. ტიხონოვმა, ოლგა ფორშმა, ი. გრიშაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ალ. გომიაშვილმა, ირ. აბაშიძემ**, ცვალებადელმა ამხ. **შანიძემ** და დამწყებ წითელარმიელ მწერლებმა.

პარტიულ ყრილობებს გამარჯვების პატაკი

სოციალისტურ მშენებლობის და მსოფლიოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ორგანიზატორი — ლენინისა და სტალინის პარტია ემზადება თავისი მე-17 ყრილობისათვის. ეს ყრილობა — პარტიისა და მუშათა კლასის ისტორიაში შევა როგორც უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების ყრილობა.

მე-17 ყრილობა შეიკრიბება სოციალიზმის აგების მეორე 5 წლედის გრანდიოზულ გეგმათა განხორციელებისათვის გაშლილი ბრძოლის პირობებში, როცა პარტიის ბელადის ამხ. **სტალინის** გენიალური ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელ მილიონებმა საბოლოოდ უზრუნველყვეს სოციალისტური მეურნეობის გამარჯვება როგორც სოფლად ისე ქალაქად, ინდუსტრიის ახალი გიგანტებით დაფარეს ჩვენი ქვეყნის მთელი ტერიტორია.

მსოფლიო მუშათა კლასის უდიდეს მასწავლებლის **ლენინის** გარდაცვალების მეათე წლისთავის დღეებში შეკრებილი პარტიული ყრილობა, მთელი ქვეყნის დასანახად შეაჯამებს იმ უდიდეს გამარჯვებებს, რომელსაც მიაღწია სოციალიზმის მშენებელმა ქვეყანამ ულენინოთ ლენინიზმის დროშით პარტიის ცენტრალური კომიტეტის და რევოლიუციური პროლეტარიატის გენიალური ბელადის და თეორეტიკოსის ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით.

ჩვენი ქვეყნის ფართო მშრომელი მასები უდიდესი ენტუზიაზმით ეგებებიან მე-17 ყრილობას. ყრილობისათვის სამზადისმა, შრომისა და ბრძოლის ახალი ენტუზიაზმით აამოძრავა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობის მასები. მთელი რიგი მოწინავე წარმოებები, საბჭოთა, კოლექტიური მეურნეობანი კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს — გამარჯვებათა ახალი მაჩვენებლებით შეხვდენ პარტიის მე-17 ყრილობას, ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულონ საწარმოო სამეურნეო გეგმები, რათა სოციალისტური შრომის ნამდვილი გმირობის მაჩვენებლებით წარსდგნენ ლენინური პარტიის ისტორიული ყრილობის წინაშე.

საბჭოთა მწერლობა, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს სოციალიზმ სათვის მებრძოლი კლასის რევოლიუციური პრაქტიკის გამომხატველ ლიტერატურულ მოძრაობას, ბუნებრივია ღრმად იმსჭვალება პარტიის ყრილობის სამზადისში აღძრული მასიური ენტუზიაზმით. უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა მწერლობამ, მისმა ძირითადმა აქტივმა გვიჩვენა მუშათა კლასთან და მის ხელმძღვანელ პარტიასთან ორგანიული დაახლოების ნიმუშები. არა მარტო პროლეტარული რევოლიუციის პირობებში მუშათა კლასის წიაღიდან წარმოშობილი შემოქმედებითი კადრები, არამედ ოქტომბრის წინამორბედ მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო უმრავლესობაც მჭიდროვდება და ირაზმება კომუნისტური პარტიის პოზიციების გარშემო სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. ის დიდი მიღწევები, მაღალი მხატვრული დონე და იდეური სიღრმე, რომელიც [illegible] საბჭოთა ლიტერატურის [illegible] ყველა სხვა ქვეყნების და სხვა კლასების ლიტერატურასთან, [illegible] სოციალიზმის [illegible], რომელსაც [illegible] ჩვენი [illegible] ბოლშევიკური პარტიის [illegible].

ჩვენი მწერლობის სწრაფათ ზრდა და გაფურჩქვნა შედეგია უდიდესი ყურადღებისა და მზრუნველობის, რომელსაც ყოველთვის იჩენდა და იჩენს ლენინის პარტია ლიტერატურის მიმართ. საბჭოთა მწერლობის ძირითადი მასა თანდათანობით ახორციელებს ლენინის მითითებას მწერლობის პარტიულობის შესახებ, მშრომელ მასებთან ორგანიულად დაკავშირების შესახებ. ეს დიდი დღე იარაღდება მუშათა კლასის მსოფლმხედველობით, პროლეტარიატის რევოლიუციური თეორიით და იბრძვის ისეთი მხატვრული მეთოდისათვის, რომელიც შესაძლებელს გახდის საბჭოთა მწერლობის გადაქცევას კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ ძლიერეს იარაღად.

საბჭოთა მწერლობის ასეთი ორგანიული დაახლოვება მუშათა კლასთან და მის ავანგარდ კომუნისტურ პარტიასთან, ცხადია თავის [illegible] გამოხატულებას ჰპოვებს პარტიის ყრილობის სამზადისის პროცესშიც.

მე-17 ყრილობისათვის სამზადისის პროცესში საბჭოთა მწერლობა კიდევ მეტად განამტკიცებს თავის კავშირს მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან. ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნაწილი უფრო აქტიურად ჩაებმება სოციალისტურ მშენებლობაში, რათა ხელი შეუწყოს ახალ სამეურნეო გამარჯვებისათვის მებრძოლ მასების შემოქმედებითი ენტუზიაზმის გაღვივებას, მხატვრული მომსახურეობა გაუწიონ მშრომელ მასებს და მხატვრულ ნაწარმოებებში ასახოს მათი გმირული ბრძოლის მკაფიო სახეები.

მწერალთა ორგანიზაცია პარტიის ყრილობისათვის სამზადისის [illegible] ახალ უმაღლეს [illegible] აიყვანს მასების ლიტერატურულ მომსახურეობის საქმეს, განამტკიცებს სალიტერატურო წრეებს და განახორციელებს მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს, მუშათა და კოლმეურნეთა წიაღიდან გამოსული ახალი შემოქმედებითი კადრების აღზრდისა და დაწინაურებისათვის. მწერალთა კავშირი გაშლის მკითხველთა კონფერენციების ხაზით მუშაობას და კიდევ მეტად გაამახვილებს მასების ყურადღებას მხატვრული ლიტერატურის თეორიის საკითხებზე.

საუკეთესო საბჭოთა მწერლები და დრამატურგები ყრილობას შეხვდებიან შემოქმედებითი ენერგიის უდიდესი გააქტიურებით. ისინი იკისრებენ და განახორციელებენ კონკრეტულ ვალდებულებებს თავიანთ შემოქმედებითი ვანზრახვათა დამთავრების შესახებ პარტყრილობის მოწვევის დროისათვის.

მხატვრული ლიტერატურის საგამომცემლო ორგანიზაციებმა აგრეთვე უნდა გააძლიერონ თავიანთი მუშაობის ტემპები და ხარისხი, რათა ყრილობამდე დარჩენილი დროის განმავლობაში მკითხველ პროლეტარულ მასებს მიაწოდონ მხატვრული ლიტერატურის ახალი ნიმუშები ახალ გამოცემათა სახით.

საქართველოს საბჭოთა მწერლობა საკავშირო და საქართველოს პარტიულ ყრილობათა წინაშე წარსდგება თავისი მიღწევებისა და გამარჯვებების შემაჯამებელი პატაკით, რომელშიაც მხატვრულ გამოხატულებას ჰპოვებს ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების დღევანდელი დონე და ის მჭიდრო კავშირი, რომელიც დამყარებულია მუშათა კლასის რევოლიუციურ პრაქტიკასა და საბჭოთა მხატვრულ მწერლობას შორის.

მე-9 პარტყრილობას საქართველოს მუშები და კოლმეურნე გლეხები უდიდესი გამარჯვებებით ხვდებიან სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში. ეს გამარჯვებები მოპოვებულია საქ. კ.პ. (ბ) ცკას ბოლშევიკური ხელმძღვანელობის შედეგად, რომელსაც მეთაურობს მტკიცე ლენინელი ამხ. **ლ. ბერია**.

პარტიულ ყრილობისათვის სამზადისში საქართველოს საბჭოთა მწერლობის ძირითადი მასა კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება პარტიის პოზიციებისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების ირგვლივ, უფრო მაღლა ასწევს შემოქმედებითი ოსტატობის ხარისხს, კიდევ მეტად გაამახვილებს მხატვრული შემოქმედების იდეურ - კლასობრივ შინაარსს.

აკად. ნ. მარრის იუბილე

სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლის თავის შესრულებისა და აკადემიის წევრად ყოფნის 25 წლის თავის აღსანიშნავად აკად. ნიკო მარრის ახლო ხანში საბჭ. ხელისუფლება უხდის იუბილეს. საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის მუდმივი მდივნის აკად ვ. ვოლგინის თავმჯდომარეობით შექმნილია საკავშირო საიუბილეო კომისია.

საქართველოს ცაკმა იუბილეს ჩასატარებლად გამოჰყო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **ფ. მახარაძე** (თავმჯდომარე), **ლ. აღნიაშვილი** (თავმჯდ. მოადგილე), **ე. ბედია, კ. ორაგველიძე, ბრუზდეევი, ფირუმოვი, პიჩიკიანი, პროფ. ბერიტაშვილი, პროფ. მუსხელიშვილი, პროფ. აკ. შანიძე, კ. დონდუა, ნიორაძე, გ. ხაჭაპურიძე, გიორგობიანი**; (ც. კ. ცაკის მდივანი), **სტ. აკოფოვი, მ. ტოროშელიძე, მ. ჯავახიშვილი, გულოინი, შ. ბეგენავა, ა. ირემაშვილი, ნ. კიკნაძე** და **კ. ჭაცარავა**.

საკავშირო საიუბილეო კომისიაში მონაწილეობის ძალებად გამოყოფილი არიან: ამხ **ფ. მახარაძე, კ. ორაგველიძე** და **ლ. აღნიაშვილი**.

აკად. ნ. მარრი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მიენიჭა დამსახურებული მეცნიერული მოღვაწის სახელწოდება

საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილებით აკად. ნ. მარრს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელი. აკად. ნ. მარრის მრავალრიცხოვანი მეცნიერული შრომები განსაკუთრებით ლინგვისტიკაში და მატერიალურ კულტურის ისტორიაში სარგებლობენ დიდი პოპულარობით და სახელით, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპაშიაც.

ლინგვისტიკაში განსაკუთრებული მოღვაწეობისათვის აკად. ნ. მარრი საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

აკად. ნ. მარრის თხზულებები ქართულ ენაზე

დამსახურებულ მეცნიერს ნ. მარრს რამდენიმე ასეული მონუმენტალური შრომა და გამოკვლევა აქვს დაწერილი ლინგვისტიკის, მატერიალურ კულტურის, ლიტერატურის ისტორიის და სხვა დისციპლინათა სფეროებში. 1888 წლიდან (ამ წელში პირველად დაიბეჭდა მისი წერილი „ივერიაში" „ბუნება და თვისება ქართული ენისა") დღემდე აკად. მარრის შრომები გამოცემულია ქართულ, რუსულ, სომხურ, გერმანულ, ფრანგულ და სხვა ენებზე. ქართულ ენაზე დღემდე არ არსებობს არც ერთი ისე სრული გამოცემა რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევდეს გაეცნოს მარრის მეცნიერულ მოღვაწეობას და მის იაფეტიდოლოგიურ თეორიას.

ამჟამად იუბილესთან დაკავშირებით სახელმწიფო უნივერსიტეტი სცემს აკად. ნ. მარრის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეულს 30 სასტამბო ფორმის რაოდენობით.

ორტომეულს გამოსაცემად მუშაობა უკვე დაწყებულია, უნ-ტთან შესდგა სარედაქციო კოლეგია პროფ. **ლ. აღნიაშვილის** თავმჯდომარეობით. გამოკვლევების თარგმანა უკვე დაწყებულია. 1934 წელში გამოვა პირველი ტომი.

საიუბილეო კრებული

სახ. უნ-ტთან არსებული აკად. ნ. მარრის სახელობის საენათმეცნიერო წრე სცემს კრებულს, რომელიც მიძღვნილი იქნება აკად. მარრისადმი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლის თავის და აკად. წევრად არჩევიდან 25 წლის შესრულების გამო.

გამოყოფილია რედკოლეგია პროფ. **ლ. მელიქსედ-ბეგის**, დოც. **დ. კარბელაშვილის**, ასპ. **მ. ჩხენკელის, ალ. ღლონტის** და **მიხ. ჩიქოვანის** შემადგენლობით.

კოლეგიამ შეადგინა კრებულის გეგმა და [illegible] დასრულდება მასალების შეკრება

დამსახურებული მეცნიერის აკად. ნ. მარრისადმი მიძღვნილ კრებულში, ითანამშრომლებენ, როგორც საქართველოს, ისე საბჭოთა რუსეთის ცნობილი იაფეტიდოლოგი-მეცნიერები მათ შორის: აკად. **ი. მეშჩანინოვი**, პროფ. **ბაშინჯაღიანი**, პროფესორი **ლ. აღნიაშვილი**, პროფესორი **ივანე ვაშაყმაძე**, პროფესორი **ლ. მელიქსედ-ბეგი**, პროფ. **ი. აბულაძე**, დოც. **დ. კარბელაშვილი**, დოც. **იური მარრი**, დოც. **მ. ჩხაიძე**, დოც. **ქ. დონდუა** მარრის ასპირანტები: **მიხ. ჩხენკელი მიხ. ჩიქოვანი, ალ. ღლონტი, ს. ჟღენტი, ი. მეგრელიძე**, პროფ. **ბიკოვსკი**; **კ. მეგრელიძე, აკ. ბურნია, ფო. კამენეცკი** და სხვ.

განზრახულია რამდენიმე საზღვარგარეთული იაფეტიდოლოგ ენათმეცნიერის მოწვევა კრებულში სათანამშრომლოთ.

საენათმეცნიერო კრებულს სცემს სახ. უნ-ტის გამომცემლობა და გამოვა 1934 წლის პირველი კვარტალის ბოლოს. კრებულში [illegible] ერთად მოთავსებული აკ. ნ. მარრის ვრცელი ბიოგრაფიული მასალები

გამოფენის მოწყობა

აკად. ნ. მარრის იუბილესთან დაკავშირებით მისივე სახელობის საენათმეცნიერო წრე აწყობს მარრის შრომების გამოფენას. გამოფენას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან იქ წარმოდგენილი იქნება იაფეტიდოლოგიის განვითარების ყველა საფეხური დასაწყისიდან დღემდე. გამოფენის მოწყობას ხელმძღვანელობს სპეციალური კომისია. აკად. ნ. მარრის ბიბლიოგრაფიულად იშვიათი შრომები, რომლებიც არ აქვს სახ. უნ-ტის ბიბლიოთეკას გამოწერილია საბჭ. კავშირის სამეცნიერო აკადემიიდან (მოსკოვი და ლენინგრადი).

საენათმეცნიერო წრის ამ გამოფენაში ფართო ადგილი დაეთმობა მარრის ბიოგრაფიას (ბავშობა, მოწაფეობა და სამეცნიერო მოღვაწეობის ხანა).

მოხსენებები და ლექციები

ტფილისის სახ. უნ-ტთან არსებულმა აკად ნ. მარრის საენათმეცნიერო წრემ უნ-ტის რექტორებთან ერთად შეადგინა იუბილეში მონაწილეობის გეგმა. გამგეობა გეგმის თანახმად იანვარ-თებერვალში ჩაატარებს მასიური ხასიათის მოხსენებებს შემდეგ თემებზე: 1) აკად. ნ. მარრის ცხოვრება და მოღვაწეობა, 2) აკად. ნ. მარრი, როგორც ენათმეცნიერი (მისი იაფეტიდოლოგიური თეორია), 3) აკად. ნ. მარრი და მატერიალური კულტურის ისტორია და სხვ.

მოხსენებები ჩატარდება არა მარტო უნივერსიტეტის აუდიტორიაში, არამედ განათლების მუშაკთა სახლში, პლეხანოვის მუშაკთა კლუბში, ტფილისის სკოლებში და სხვა.

წრის გამგეობა აგზავნის მომხსენებელთა ბრიგადას ქუთაისში, ბათომში, სოხუმში და სტალინირში. აკად. ნ. მარრის საენათმეცნიერო წრის გამგეობა ამჟამად ფართო მუშაობას აწარმოებს მარრის მიერ შექმნილ ახალი ენათმეცნიერების (იაფეტიდოლოგიის პოპულარიზაციისათვის, მისი მუშაობის მასებში გადატანისა და გაცნობისათვის.

ახალი ჟურნალი „ახალგაზრდა მწერალი“

იანვრიდან ტფილისში დაიწყებს გამოსვლას ყოველთვიური სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო „ახალგაზრდა მწერალი“.

ჟურნალის პ-მგებელი რედაქტორი ამხ. მალაქია ტოროშელიძე.

სარედაქციო კოლეგიის წევრები: მ. ტოროშელიძე, ლეო ქიაჩელი, ელიზბარ პოლუმორდვინოვი, ევ. ენუქიძე, აკ. რეხვიაშვილი, კალე ბობოხიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, დემნა შენგელაია და დ. დოლიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის საბჭოთა მწერლობა

აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის გასაუმჯობესებლათ

(საკ. კ.პ.(ბ)-ის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებიდან)

ა. წ. 24 ნოემბერს საქ. კ. პ. (ბ)-ის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ მოისმინა მოხსენება აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის შესახებ და სათანადოთ შეაფასა იგი. ბიურომ აფხაზეთის მწერლების კავშირის მუშაობა, რომელიც უკანასკნელ ხანებში სწარმოებდა აფხაზეთში, საკმაოდ არ მიიჩნია, თუმცა აღნიშნა ერთგვარი წინსვლა 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების შემდეგ (სალიტერატურო გაზეთის გამოცემა, ლიტწრეების ორგანიზაცია და სხვა). აფხაზეთის მწერალთა კავშირის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ერთ-ერთ მიზეზად ბიურომ სცნო პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ნაკლები ყურადღება ლიტერატურულ მოძრაობის საკითხებისადმი.

ლიტერატურული მოძრაობის და მწერალთა მხატვრული შემოქმედების გასაცხოველებლად საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი. ბიურომ დაავალა აფხაზეთის მწერალთა კავშირს გაშალოს შემოქმედებითი დისკუსია საბჭოთა ლიტერატურის მხატვრული მეთოდის კონკრეტულ საკითხებზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ დისკუსიების დროს ბოლშევიკური პარტიულობის საკითხს და მწერალთა შემოქმედების აქტივიზაციას იმ მიზნით, რომ საბოლოოთ დაძლეული იქნეს ჯგუფობრიობა მწერლობაში, გაძლიერდეს ბრძოლა ლიტერატურის ფრონტზე კლასობრივათ უცხო იდეოლოგიის—ნაციონალისტური განწყობილებების, მემარჯვენე ოპორტუნისტული; „მემარცხენე“ ვულგარიზატორული ტენდენციების წინააღმდეგ. აფხაზეთის მწერალთა კავშირს ევალება აგრეთვე გააძლიეროს მუშებისა და კოლმეურნეების წრიდან გამოსულ დამწყებ მწერალთა იდეური და მხატვრული აღზრდა, რომლის დროსაც მან მთავარ ამოცანად უნდა გაიხადოს ადგილობრივი ნაციონალური კადრების წინწამოწევა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და შემოქმედებითი მუშაობის წახალისება.

ამავე ორგანიზაციას წინადადება ეძლევა აფხაზეთის პროფსაბჭოსთან ერთად ექვსი თვის ვადაში სოხუმის, აგრეთვე რაიონების მუშათა კლუბებსა და საწარმოებში გაშალოს ლიტწრეების ქსელი და უზრუნველჰყოს იგი კვალიფიციური ხელმძღვანელობით, საპროგრამო მეთოდიური მასალით და მატერიალური პირობებით. პარტიის სარაიონო კომიტეტებს, ძირეულ პარტიულ, კომკავშირის და პროფესიულ ორგანიზაციებს ევალებათ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ლიტწრეების მუშაობას ადგილებზე.

ბიუროს დადგენილებით, აფხაზეთის მწერალთა კავშირმა პროფსაბჭოსთან ერთად ორი დეკადის ვადაში უნდა დაამუშაონ სოხუმისა და სარაიონო ცენტრების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ლიტერატურულ მხატვრული მომსახურეობა, (ლიტერატურული საღამოების, დისპუტების, მოხსენებების, კონცერტების მოწყობა, ლიტერატიული გეგმა. სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან საბჭოთა მწერლების დაახლოების მიზნით, ბიურო წინადადებას აძლევს აფხაზეთის მწერალთა კავშირს სისტემატიურად მიავლინოს საუკეთესო მწერლები საწარმოებში, ახალმშენებლობებზე, კოლმეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლებში. აფხაზეთის სახალხო კომისარიატებს და სამეურნეო ორგანიზაციებს ევალებათ შეუქმნან სათანადო მატერიალური პირობები მივლინებულ მწერლების მუშაობას.

საოლქო კომიტეტის კულტპროპს ეკისრება გადასინჯოს აფხაზეთის სახელგამის 1934 წლის საგამომცემლო გეგმა იმ მიზნით, რომ მასში გაძლიერებული იქნეს მხატვრული ლიტერატურის ხვედრითი წონა, ამასთან დასახულია კონკრეტული ღონისძიებები პოლიგრაფიული ბაზის გასაძლიერებლად, გამოსაცემ პროდუქციის იდეურ-მხატვრული ხარისხის უზრუნველსაყოფად. აფხაზეთის სახელგამთან უნდა მოეწყოს სარედაქციო კოლეგია საუკეთესო მწერლებისა და მომზადებული პარტიული მუშაკების შემადგენლობით, აფხაზეთის ყველა საგამომცემლო ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ აფხაზეთის მწერლებისათვის საავტორო ჰონორარი გაიღონ საბჭოთა კავშირის და საქართველოს სათანადო ორგანოების მიერ დაწესებულ ტარიფის მიხედვით.

ამას გარდა აფხაზეთის მწერალთა კავშირს ევალება დაუყონებლივ შეადგინოს აფხაზეთის მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებების ორი კრებული, რომელთა გამოცემა გათვალისწინებული აქვს საქართველოს სახელგამსა და „ფედერაცია“ს.

ამასთან ერთად აფხაზეთის საოლქო კომიტეტის 24 ნოემბრის დადგენილება ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებათა დაუყონებლივ განხორციელებას აფხაზეთის მწერლების მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის

ახალი ხელმძღვანელობა

აფხაზეთის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში შედიან: ამხ. მ. ეხვაია, ს. ჩამბა, ნ. გრიგოლია, აგრბა, ვ. გრიგორიევი, სარქისიანი და პერებეინოსი, კავშირის სამდივნოში: მ. ეხვაია, ს. ჩამბა და მ. გრიგოლია. აფხაზური ლიტერატურის სექტორის მდივნად არჩეულია ამხ. კუკბა, ქართული სექტორის — ეხვაია, ბერძნული სექტორის კანონიდი, სომხური—დერმდერიანი, რუსული—გრიგორიევი.

ნახატი შალვა ბერიტაშვილის.



მ. გრიგოლია, ს. ჩანბა, მ. ეხვაია

აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობა უახლოეს პერიოდში

◆**შემოქმედებითი დისკუსიები.** აფხაზეთის მწერალთა კავშირის სამდივნოს დადგენილებით, პირველ რიგში უნდა მოეწყოს დისკუსიები შემდეგ თემებზე: საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდი, ნაციონალური ფორმის პრობლემა საბჭოთა ლიტერატურაში, კულტურული მემკვიდრეობა და მისი კრიტიკული ათვისება, საბჭოთა ლიტერატურის თემატიკა და ჟანრები, ახალი ადამიანი საბჭოთა ლიტერატურაში, საბჭოთა დრამატურგიის შემოქმედებითი საკითხები, პროლეტარული ახალგაზრდობა და კომკავშირი საბჭოთა ლიტერატურაში, აფხაზეთის ლიტერატურა და ფოლკლორი, ქართული ლიტერატურა ახალ ეტაპზე და სხვა.

◆**ლიტწრეები.** სამდივნოს დადგენილებით პირველ რიგში ლიტწრეები ეწყობა სოხუმის თამბაქოს ფაბრიკასთან. გემოკეთების მუშების. კომუნალური მეურნეობის მუშების და მბეჭდავების კლუბებთან. 12 ლიტწრე უნდა მოეწყოს აგრეთვე სასწავლებლებში. სასწავლებლებში მოწყობილ ლიტწრეებზე ხელმძღვანელობა ეკისრებათ მასწავლებლებს გადაწყვეტილია მოწყობილი იქნას ლიტწრეები აგრეთვე ტყვარჩელმშენზე, ბზიბმშენზე, ჩხალტის სატყეო მეურნეობაში და სხვა. ლიტწრეების პროგრამის შედგენა მინდობილი აქვს საგანგებოთ გამოყოფილ კომისიას.



დ. გულია
აფხაზეთის უხუცესი საბჭოთა მწერალი

◆**აფხაზეთის მწერალთა შემოქმედებითი საღამოები.** სამდივნოს გადაწყვეტილი აქვს ამ მოკლე ხანში მოაწყოს მწერლების ჩამბას, ღლონტის, კვიცინიას, ცვიჟბას, სტარცევის და გულიას შემოქმედებითი საღამოები.

◆**დამწყებ ავტორებთან მუშაობა.** დამწყებ ავტორებთან მუშაობის გასაძლიერებლად მბეჭდავთა კლუბში ეწყობა ცენტრალური ლიტწრე, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევენ აფხაზეთის საბჭოთა კავშირის სექტორების მდივნები, ზეპირი ლიტკონსულტაციისა და დამწყებ ავტორების ნაწარმოებთა გასარჩევად წრეში ყოველდღიურად იმორიგეებენ კვალიფიციური მწერლები.

◆**მუშათა და კოლმეურნეთა ლიტერატურული და მხატვრული მომსახურება.** აფხაზეთის მწერალთა კავშირის სამდივნოს დადგენილებით, შემოქმედებითი დისკუსიები უმთავრესად გაიმართება სოხუმის და რაიონული ცენტრების მუშათა კლუბებში. საწარმოებსა და რაიონებში სალიტერატურო საღამოების მოსაწყობად გამოყოფილია მწერალთა ბრიგადები.

◆**შემოქმედებითი მივლინებები.** აფხაზეთის მწერალთა კავშირის სამდივნომ დაადგინა პირველ რიგში მწერალთა შემოქმედებითი მივლინება მოაწყოს მეთამბაქოების საბჭოთა მეურნეობებსა, და კოლმეურნეობებში და ახალ საალმშენებლო საკურორტო მშენებლობის შესასწავლად.

კვიცინია

მეორე ხუთწლედი

ეი, ქვეყანავ!
მომავლის მხარევ,
გაამახვილე შენ
ყურთა სმენა.
და მოისმინე
თუ როგორ ანგრევს
ცით ბობოქარი ტალღა
სივრცეთა სარკეს;
ცეცხლის ამბავი
ედება არეს:
მოდის ხუთწლედი
მეორე,
უკანასკნელი მახვილი
რომ დასცეს ბურჟუებს.
დღისით და ღამით
როგორც გრიგალი,
ის დაჰქრის
ყველგან.
და მიაქვს თან ძველი ქვეყნისთვის
შიში, კანკალი.
ისევ აჩრდილი
ედგა მუქარით
და უცნაური,
დღისით და ღამით
ისმის ყველგან
ხმები ზვიადი

საბჭოთა ქვეყანაში
დაიბადა
მეორე ბოლშევიკური
გოლიათი.
ეი, ქარხანავ, ფაბრიკავ,
რა გააკეთეთ დღეს?
ბრიგადებო,
ცეხებო ჩქარა!
სად არის შემხვედრითი
გეგმების ჯარი?
კოლექტივო და
კოლმეურნევ
დღისით და ღამით,
რომ ხნავ,
ფოლადის ხელი
მოგვეცი
შენ ხომ გვიმშვენებ მხარს.
თუ-კი რიგები
ფოლადის.
გაირღვა საბჭოთ ყანაში
ასტეხეთ მაშინვე
განგაში,
რომ შევკრათ ისევ რიგი
იარაღ ასხმული
შაშხანით ხელში მიდი.

როგორც არწივი,—
მთებიდან დაბლა!
რომ ჩვენ მტრებს დავსცეთ
შიში და დამბლა.
სამფინგეგმები
გაასამკეცე.
გამცდენელს, ზარმაცს ვერ ითმენ
დამკვრელთა რიგების
სიმტკიცე.
დღეს აქ საჩქაროა,
შევკრიბოთ ყველა ძალები
რომ ჩამორჩენა, გარღვევა, ლაქა
ჩვენი შეჯიბრით
გაჰქრეს.
ლენინის გზაზე
მე ვხედავ მიდის
მილიონების
რიგი.
ოპორტუნიზმს და გადახრას
ანგრევს,
და ბოლშევიკურად
უტყუს
მეორე ხუთწლედის
სახვრებს.
თარგმანი აფხაზურიდან
თარგმანი აფხაზურიდან მიქ. პატარიძის

ფ. კანონიდი

ფაშიზმის პატიმართა სიტყვა

სიმღერიდან „კაპიტალის უღელი“

რომ მზემ ვერ ნახოს ჩვენი განგაში,
რომ დაარბიონ ბოლშევიკთ ძალა
ჩაგვყარეს ყველა ყალმის [1] საკანში,
ჩვენი სიცოცხლე გადასცეს ჯალათს.
ამ ზებერ ჯალათს უყვარდა ლხინი
ლაპარაკი და მუდამ ქადილი:
მოვსპოთ კომინტერნს და ბოლშევიკებს—
მექნება მაშინ დიდი ნადიმი.
მუშათა კლასი, მიჰყვება მაგათ,
მამულისათვის დავღუპოთ მაინც
ყალმის ციხეში ჩავკეტავ მაგრად
თავისუფლების თვითეულ რაინდს.
„მამულს“ ადიდებს მღერით, გრიალით
ბურჟუა, მღვდელი, თავადი ჩარჩი.
მამულისათვის ხარდაფში მყრიან

შვილებს დამშეულს გახვეულს ჩვარში,
„მამული“—ჰყვირის ორჭოფი მტერი
რომ გაიგრძელოს ლხინი ბოროტი.
კმარა, „ელეფთერის“ [1] ჩვენ აღარ გვჯერა
მტარვალთან ბრძოლა, ბრძოლა ბოლომდე.
პარაზიტების ხროვას—სიკვდილი
და მათ სამშობლოს მონურად მოხრილს
მა მუშებს მოაქვთ ხალისი დილის
და გვესმის როგორ ამტვრევენ ბორკილს
თვითონ დავიპყრობთ სიმართლეს ახალს
რომელიც უკვე ვით მზე ანათებს,
და ამ ყალამის საკანს და ხარდაფს
დაუთმობთ მტარვალთ და ჩვენ ჯალათებს.
თარგ. ბერძნულიდან მიქ. პატარიძის.

---

[1] ყალამი—ციხე პოლიტკატორღელთათვის კრიტის კუნძულზე.

[1] ელეფთერი ვენიზილოსი—საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი.

ს. ჩანბა

ნაწყვეტი მოთხრობიდან „სეიდიკი“

დილაა. ნამით პირდაბანილმა მზემ თავი ამოჰყო მთების უკანიდან, ერთი წუთით შეჩერდა ორ მწვერვალს შუა, გადაავლო თვალი დაბლობს, ველს, და გაფანტა გაწოლილი **ჩრდილები — ღამის** ნაშთები.

„კაკლის [illegible] ხის“ კოლმეურნეობაში გულმოდგინედ მუშაობდენ კოლმეურნეები, რომლებსაც ძველი მამაპაპური ცხოვრება განკერძოებული, მარტოხელა ცხოვრება—შეეცვალეს ახალი, კოლექტიური ცხოვრებით...

მკვეთრად გაისმოდა ოზმატის შვილის სიმღერა. მას მხიარულ ბანს აძლევდა ტრაქტორი.

ჩახ-საღ! ჩახ-საღ!

წკრიალებდენ კოლმეურნეების თოხები.

მზემ გაუღიმა კოლმეურნეებს, უსურვა წარმატება მუშაობაში, შემდეგ თითქოს მოსწყდა მაღალ კლდეს, აიწია ზევით და ცეცხლის ბურთის სახით შეუდგა ცურვას ცაზე.

კოლმეურნეობა ძლევამოსილად იკაფავდა ახალ გზას და უკან იტოვებდა ძველ დახავსებულ ცხოვრებას.

ამ დროს ხის გვერდით, სოფლის დიდ გზაზე, მიჰყავდათ მისი მტრები. მიდიოდენ ჩუმად, თავდახრილები, „გადამტერებული“ [illegible]. წინ მიაბიჯებდა მაღალი, ერთის ნახევართვალიერით მოხოილი ყაზილბაკი, მოღუშული და დაღვრემილი; ფაფახი ჩამოფხატული ჰქონდა თვალებამდე, რომლებიც ბოროტად გამოიყურებოდენ დიდი მოკაკული ცხვირის აქეთ-იქიდან. მას მისდევდა. მხრებ აკრეფილი სეიდიკი. ყაბალახის წვერი, რომელიც უწინ რქასავით აშვერილი ჰქონდა, ეხლა საცოდავად იყო ძირს დაშვებული. სეიდიკი ჰგავდა იმ მოუსვენარ ხარს, რომელსაც რქები მოამტვრიეს. ხუცესი, რომელიც სეიდიკს მისდევდა, ფეხები გრძელ ანაფორაში ებლანდებოდა; მას წინ გაეშვირა თავისი დიდი დაკორძებული ფუღურო ცხვირი. მღვდლის გვერდით ძლივს მიათრევდა ფეხებს დიაკვანი. მისი გამხდარი სახე, ჩამოწელილი ლოყებით, უფრო აგრძელებდა უმისოდაც წაგრძელებულ თავს, ხოლო ძვლისებური ცხვირი ისე დაშვებულიყო ძირს, გეგონებოდათ — ყბას გაჰკროდაო. მას წვრილი ნაბიჯით მისდევდა დაბალი მოლა—ესიფი ყაბალახით, რომელიც თავზე ჰქონდა შემოხვეული. მძიმე ნაბიჯით მიდიოდენ კელამატი და ხაბაკეი. მათ შუაში ჩასდგომოდა მთელი თავით ყველაზე მაღალი, ძალზე გამხდარი ქეიმითხანი — ერთად-ერთი ქალი მათ შორის. ყველაზე უკან მიდიოდა გამხმარი, მუქად ქვეული სელიმი, რომელსაც კეფაზე ჩრჩილისაგან შეჭმული პატარა ქუდი ედო.

— ხაბაშ, ხაბაშ! — დაუყვირა თემირმა, როდესაც შენიშნა პატიმრები.

— ჰე, რა გინდა? — გამოეხმაურა ხაბაში.

— აბა, გზისაკენ გაიხედე!

— ვერაფერს ვერ ვხედავ.

— ბუჩქებს მოეფარენ.

ხაბაშმა ხელი სტაცა თხმელის ტოტს და თვალის დახამხამებაზე ზევით აცოცდა. დაინახა რა სეიდიკი და სხვები მაგრად დაუსტვინა.

კოლმეურნეებმა პირი იბრუნეს გზისაკენ, იქ, ბუჩქებს უკან, გამოჩნდა პატიმართა ჯგუფი.

— ამბობენ, მშრომელთა დაწყევლისაგან ხეც კი ხმებაო. ასე უნდა მაგათ. უფრო გაადვილდება ახალი ცხოვრების აშენება,—ჩაილაპარაკა მოხუცმა ჩაზმატმა.

— ვინც ახალი ცხოვრების მოწყობაში ხელს შეგვიშლის, დაუნდობლად მოვიშორებთ, გზიდან.—ჩაუმატა კობლუხმა.

— აბა, დად, დაიწყე „კოლხოზ-აშვა“*)! —გადასძახა ოსმანმა ტრაქტორისტს, ოზმატის შვილს.

მანაც წკრიალით გააბა სიმღერა, რომელიც ცას სწვდებოდა. მისი ტრაქტორი უფრო ძლიერად ახმაურდა, თითქოს მღერის ეუბნებაო, ერთხმად მისცეს ბანი კოლმეურნეებმა, უფრო მკვეთრად გაისმა თოხის ხმა, ხოლო ხაბაშმა, რომელიც ამ დროს ხიდან ძირს ეშვებოდა, თავისი სტვენით კოლმეურნეთა სიმღერას აჰყოლა.

დიდხანს გაისმოდა მუშაობაში შეჯიბრებულ კოლმეურნეთა გამარჯვებული სიმღერა.

მთარგმნელი ი. ა—ძე.

---

*) „კოლხოზ-აშვა“ — საკოლმეურნეო სიმღერაა.

აფხაზეთის საბჭოთა მწერლობა დღეს

კომუნისტური პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარებამ სრულიად გარდაქმნა და შესცვალა აფხაზეთი, ამ კუთხის ინდუსტრიალიზაციამ, ახალ სამრეწველო საწარმოების მშენებლობამ, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნამ მტკიცე საფუძველი დაუდვეს საბჭოთა აფხაზეთის კულტურის, ლიტერატურის და ხელოვნების ზრდასა და აყვავებას.

13 წლის მანძილზე აფხაზეთის მწერლობა, მუსიკა, თეატრი უკვე იმ სიმაღლემდე ავიდა, რომ დღეს მათ შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში, რომელნიც დგანან საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე საერთოდ.

აფხაზეთში ლიტერატურული მოძრაობა ორგანიზაციულის მხრივ საბოლოოთ სავსებით ჩამოყალიბდა 1932 წელს. ლიტერატურული მუშაობის ორგანიზაციულ კალაპოტში ჩაყენების ცდები იყო უფრო ადრეც. მაგრამ მას ჰქონდა კუსტარული ხასიათი. 1927 წელს აფხაზეთში ჩამოყალიბდა მწერალთა წრე, რომელიც აერთიანებდა 3 აფხაზ მწერალს, ხუთ რუსს, ერთს ქართველ და ამდენსავე სომეხ და ბერძენ მწერალს.

1931 წლის დეკემბრიდან დაიწყო დამკვრელ მუშათა გაწვევა ლიტერატურაში, მოეწყო სალიტერატურო წრეები, რომელნიც აერთიანებდენ 80-მდე წევრს. მათ შორის 25 დამკვრელ მუშას. მაგრამ აფხაზეთის პროლეტ. მწერალთა ასოციაციამ ვერ შესძლო ამ წრეების შემდგომი ორგანიზაციული განმტკიცება. ასოციაციამ ვერ მოაგვარა კომკავშირთან და პროფკავშირებთან თანამშრომლობა მასიურ ლიტერატურულ მუშაობის სფეროში.

23 აპრილის დადგენილებამ აფხაზეთის სალიტერატურო ორგანიზაციას მოუსწრო ლიტერატურულ შემოქმედებითი მუშაობის დაწყების პერიოდში დადგენილებამ უდიდესი გავლენა იქონია ლიტერატურული მუშაობის გამოცოცხლებაზე. აფხაზეთის სალიტერატურო ორგანიზაციებს შემატეს ახალი ძალები. ამ ორგანიზაციებმა დაისახეს ის ამოცანები, რომლებიც იდგენ მთელი რესპუბლიკების სხვა ლიტერატურული ორგანიზაციების წინაშე. ამ ამოცანებს წარმოადგენდა: სოციალისტური მშენებლობის მხატვრულად ასახვა, ჩვენი დროის გმირის—დამკვრელის მხატვრული ჩვენება, სამოქალაქო ომის ისტორიის მოცემა, აფხაზეთში აგებულ ფაბრიკა-ქარხნების, ახალ მშენებლობათა ისტორიის დაწერა მხატვრული სიტყვის ზეგავლენით, მშრომელი მასების ორგანიზაცია შემდგომი ბრძოლებისა და გამარჯვებისათვის.

ეს უკანასკნელი ორი წელიწადი აფხაზეთის სალიტერატურო ორგანიზაციისათვის წარმოადგენდა ბრძოლის წლებს ამ დავალებათა განსახორციელებლად და თუმცა ყველა ის ამოცანები ჯერ კიდევ შესრულებული არ არის, მაგრამ მოპოვებული მიღწევები მნიშვნელოვანია. აფხაზეთის ლიტორგანიზაცია დღეს უკვე ის არ არის რაც იყო 1931 წელს. მის მუშაობას დღეს უკვე აქვს მტკიცე ორგანიზაციული საფუძველი, დიდი გამარჯვებაა ის, რომ აფხაზეთის ლიტერატურული ორგანიზაცია რეგულიარულად სცემს დეკადურ ლიტერატურულ გაზეთს, რომელიც მომსახურეობას უწევს აფხაზეთში მცხოვრებ ხუთი მთავარი ეროვნების (აფხაზების, ქართველების, სომხების, რუსების და ბერძნების) მწერლობას, აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირი, რომელიც შესდგება ამ ეროვნებათა სექტორებისგან, დღეს აერთიანებს 35 მწერალს, ამ რიცხვში შედიან ნაციონალური ახალგაზრდები, რომლებიც მუშაობენ ლიტწრეებში და ემზადებიან მწერლობაში გამოსასვლელად, მაგრამ ლიტერატურული მოძრაობა აფხაზეთში ამ ორი წლის განმავლობაში გაძლიერდა არა მარტო ორგანიზაციულად, არამედ გაიზარდა შემოქმედების მხრითაც, დღეს აფხაზეთის საბჭოთა მწერლობის აქტივში ირიცხება 18 მხატვრული ნაწარმოები.

ახალგაზრდა აფხაზმა პოეტმა **კვიცინიამ** დაწერა და გამოსცა აფხაზური პოემების მთელი კრებული, რომელშიდაც იგი ახასიათებს სოციალისტურ მშენებლობას აფხაზეთში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დიდი პოემა „შარახაისი“, სადაც მხატვრულად მოცემულია ძველ ყოფა-ცხოვრებასთან, აფხაზეთის ძველ ტრადიციებთან ბრძოლა განახლებული სოფლის ფონზე, პოეტმა კვიცინიამ მეორე ახალგაზრდა პოეტ **შალვა ცვიჟბასთან** ერთად სთარგმნა [illegible] პოემა „სალამი მსოფლიოს პროლეტარულ მწერლებს“, რომელიც უკვე გამოსცა აფხაზეთის სახელგამმა, ამჟამად კვიცინია სწავლობს მოსკოვში, ხელმძღვანელობს იქ აფხაზ სტუდენტების ლიტწრეს და სწერს პოემას „კარლ მარქს“.

შემოქმედებით აქტივობას იჩენს შალვა ცვიჟბაც, რომელმაც დაწერა რევოლუციური ხასიათის მოთხრობა აფხაზეთის ახლო წარსულიდან და ამჟამად მუშაობს დრამატიულ ნაწარმოებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი საუკეთესო აფხაზ კომუნისტ მწერლის სამ**სონ ჩამბას** ლიტერატურული შემოქმედება, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჩამბამ აფხაზეთის ახალგაზრდა ლიტერატურა გაამდიდრა მთელ რიგ მხატვრული ნაწარმოებებით, რომელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს „მახაჯირები“, „მთების ასული“, „ო, ალაჰ, ალაჰ“. ორი წლის წინად სამსონ ჩამბამ ახალგაზრდა მწერალ აკბათან ერთად აფხაზეთის პირობებთან შეხამებით გადააკეთა კირშონის პიესა „პური“, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში იდგმება „გამარჯვების“ სახელწოდებით. უკანასკნელად ჩამბამ დასწერა და აფხაზეთის სახელგამმა გამოსცა მოთხრობები „აზგბა“, „მზე ამოდის“. ჩამბას მიერ უკანასკნელად დაწერილ დრამატიულ ნაწარმოებს წარმოადგენს პიესა „[illegible]“, რომელიც ასახავს სამოქალაქო ომების პერიოდს აფხაზეთში და რომელიც უკვე რამდენიმეჯერ დაიდგა აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში. ეს პიესა, რომელიც ნაწილნაწილად იბეჭდება აფხაზურ სალიტერატურო გაზეთსა და ჟურნალში, მალე გამოცემული იქნება რუსულადაც, შევა რა იგი სპეციალურ კრებულში, ჩამბას პირველი დრამატიული ნაწარმოები „მახაჯირები“, რომელიც წარმოგვიდგენს თურქეთში აფხაზების გადასახლებას, დიდი წარმატებით იდგმება ბათომის სცენაზე. აღსანიშნავია ჩამბას მიერ ეხლახან დაწერილი მოთხრობა „სეიდიკი“, რომელშიაც მოცემულია საკოლმეურნეო მშენებლობის სურათი კლასობრივი ბრძოლის ფონზე. ამ მოთხრობას რუსულ ენაზე სცემს საქართველოს სახელგამი, ხოლო ქართულ ენაზე „ფედერაცია“.

არა ნაკლებ ნაყოფიერი იყო და არის ძველი აფხაზი მწერალი, აფხაზეთის ლიტერატურის ფუძემდებელი—**დიმიტრი გულია**, რომელიც სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობს 1892 წლიდან და რომლის კალამს ეკუთვნის მრავალი მხატვრული და მეცნიერული ნაწარმოები აფხაზურ და რუსულ ენებზე, **დ. გულიას** დაწერილი აქვს აფხაზეთის ლიტერატურის ისტორია. აფხაზეთის მასებში განსაკუთრებით პოპულარულია მისი შაირ-ლექსები, რომლებსაც დღეს ჩონგურზე მღერიან აფხაზეთის სოფლებსა და კოლმეურნეობებში. ამჟამად აფხაზეთის სახელგამი სცემს აფხაზურ ენაზე **დ. გულიას** რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს.

ახალგაზრდა მწერლებიდან ყურადღებას იქცევს აფხაზი მწერალი ქალი **პაპასკირი**, რომელიც უმთავრესად მუშაობს საბავშო ნაწარმოებებზე. აღსანიშნავია მისი მოთხრობა, „როგორ გახდა ქუჩირი პიონერი“, რომელიც უკვე გამოიცა და შეიქნა აფხაზი ბავშვების ერთ-ერთი საყვარელი საკითხავი წიგნი.

დიდ აქტივობას იჩენს ახალგაზრდა აფხაზი პროზაიკოსი **ჭკადუა**, რომელმაც აფხაზეთის ლიტერატურას შესძინა მხატვრულად დამუშავებული მოთხრობა ტყვარჩელ მშენზე. შეუნელებელი ხალისით და შემოქმედებითი ენტუზიაზმით მუშაობენ ახალგაზრდა აფხაზი მწერლები ჯერ კიდევ ნორჩი აფხაზური თეატრისათვის, ჰქმნიან რა მისთვის ახალ რეპერტუარს ახალ პიესებს შორის ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა მწერლის **კოვეხ** პიესა „კიაბ ხაჯარაი“.

საფუძველი ჩაეყარა და დღითი დღე ვითარდება აფხაზური **სალიტერატურო კრიტიკა**, რომელსაც დიდი ადგილი ეთმობა აფხაზურ ლიტერატურულ პერიოდიკას ფურცლებზე. ახალგაზრდა დამწყებ კრიტიკოსებისაგან გამოირჩევა კრიტიკოსი **მუხუტი ბგვაჟბა**, რომელმაც უკვე დასწერა მთელი აფხაზური ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა.

წარმატებას განიცდის აგრეთვე აფხაზეთის მწერლობის ბერძნული სექტორი. აფხაზეთში მომუშავე ბერძენ მწერლებს შორის ყველაზე ძლიერი ფიგურაა პოეტი დრამატურგი **ფ. კანონიდი**. მის კალამს ეკუთვნის რამოდენიმე პიესა: „კაპიტალის უღელი“, „ხიდი“, „კოლმეურნეობისათვის“ და სხვა, მის პიესებში დრამატიულ ფორმებში გადმოცემულია გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობა, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, ამ ბრძოლაში წარმოშობილი ახალი ადამიანები, კლასობრივი ბრძოლა—კაპიტალისტურ საბერძნეთში და სხვა. კანონიდის ნაწერები გამოცემულია როსტოვში, მისი დრამები შევა აგრეთვე ბერძნულ ნაწარმოებათა კრებულში, რომელსაც გამოსაცემად ამზადებს აფხაზეთის სახელგამი.

აფხაზეთის მწერალთა კავშირის რუსულ სექტორში ყველაზე თვალსაჩინო მოწინავე მწერალს წარმოადგენს **გრიგორიევი**, რომელსაც ეკუთვნის მოთხრობების მთელი სერია სამოქალაქო ომის პერიოდიდან ციმბირში. უკანასკნელად მან დასწერა მოთხრობა აფხაზეთის ცხოვრებიდან სახელწოდებით „მკვდრები ბრძანებლობენ“, მისი ნაწერები გამოცემულია აფხაზეთის მწერალთა კავშირის მიერ რუსულ ენაზე. ნაყოფიერად მუშაობს მწერალი **პერებეინოსი**, რომელმაც ერთს თავის მოთხრობაში მხატვრულად აწერა საკოლმეურნეო მშენებლობის დაწყებითი პერიოდი აფხაზეთში. რუსული სექტორის პოეტებს შორის განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობენ **სტარცევი** და **ღლონტი**, რომლებსაც უკვე გამოცემული აქვს ლექსების კრებული. მწერლობაში გაწვეული დამკვრელი მუშები **ისაკოვი და კოლტუხოვი** თავის ლექსებში გადმოგვცემენ ტყვარჩელის, ბზიბის მშენებლობის მუშათა ენტუზიასტსა და პათოსს.

ახალგაზრდა მწერალი **თოდუაც** იძლევა მრავალფეროვან მხატვრულ პროდუქციას. აფხაზურ თემატიკაზე დაწერილ მოთხრობების და ნარკვევების სახით, ზემოდ აღნიშნულ მწერლებს გარდა ახალ თემატიკაზე, ადგილობრივ აფხაზურ მასალაზე მუშაობენ და მხატვრულ ნაწარმოებებს ჰქმნიან ახალგაზრდა ქართველი, სომეხი და ლაზი მწერლები. მათ მიერ შექმნილ ყველა თვალსაჩინო ნაწარმოებს სცემს აფხაზეთის მწერალთა კავშირი და სახელგამი.

უკანასკნელ ხანებში აფხაზეთის ლიტერატურულ ორგანიზაციას დიდი დახმარება აღმოუჩინა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა, რომელმაც მთელი ერთი თვით აფხაზეთში სამუშაოდ მოავლინა სამდივნოს წევრი ამხ. **ბესო ჟღენტი.**

მწერალთა, ლიტ. წრეებში მომუშავეთა და ლიტერატურის საკითხებით დაინტერესებულ მუშებისა და მშრომელების კრებების მოწვევით, ამ კრებებზე შემოქმედების საკითხების დასმითა და განხილვით, ამხ. ბესო ჟღენტმა გამოაცოცხლა ლიტერატურული მუშაობა აფხაზეთში. მისი აქტიური მონაწ. აფხაზეთის საოლქო კომ ტეტმა და მწერალთა კავშირმა გადაახ ლისეს მწერალთა კავშირის აპარატი, გადაქმნეს ლიტწრეების მუშაობა და დასახ მათ წინაშე ახალი ამოცანები. სწორე ასეთ ხელმძღვანელობას საჭიროებენ ავტ ნომიური რესპუბლიკის ლიტორგანიზაცი —განსაკუთრებით ეხლანდელ ეტაპზე, რო ცა მიმდინარეობს მზადება მწერალთა სრ ლიად საკავშირო ყრილობისათვის.

საქართველოს მწერალთა კავშირის გად წყვეტილების თანახმად, აფხაზეთის სალ ტერატურო ორგანიზაცია იანვრის დამლ ან თებერვლის დამდეგს გაგზავნის მწერ ლთა ბრიგადას ტფილისში, ხოლო შემდ გომაზე ქუთაისსა და ბათომში. ბრიგად თან წაიღებენ ლიტმასალას, რომლის მ ხედვით ისინი გააცნობენ ფართო საზო დოებრივობას აფხაზეთის ლიტერატუ მიღწევებს.

აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშ ამჟამად მეტად მნიშვნელოვანი ამოცან აქვს **გადასაწყვეტი** როგორც ლიტერატ რის თეორიის, ისე წარსული ლიტერატ რული მემკვიდრეობის დაუფლების საქ ში. **განსაკუთრებით** ბევრი რამ არის გა კეთებელი აფხაზეთის ფოლკლორის—ხა ხური ლექსების, სიმღერების, ზღაპრებ ლეგენდების, ანდაზების და სხვ. შესაგრ ვებლად და შესასწავლად.

ეს აუცილებელია **აფხაზი** საბჭოთა მწ რლისათვის, რომელიც დღეს იბრძვის სო ციალისტური ლიტერატურის შესაქმნელა

საბჭოთა **მწერლების** პირველ ყრილობ სათვის **მოსამზადებელი** მუშაობა ჯერ კი დევ არ გაშლილა **სათანადო** მასშტაბი ყველა **ჩვენი საუკეთესო** ძალები უნდა და ვრაზმოთ, რომ გავაძლიეროთ შემოქმედე ბითი მუშაობა.

აფხაზეთის სალიტერატურო ორგანიზა ციებს მოუხდებათ ენერგიული მუშაო აფხაზეთის მწერალთა იდეური-მხატვრუ შემოქმედების ასაყვანად უფრო მაღალ ფეხურზე, აფხაზეთის საოლქო კომიტეტ ხელმძღვანელობით, საქართველოს საბჭო მწერლების აქტიური დახმარებით აფხაზე თის ლიტერატურული ორგანიზაციები სძლებენ მწერალთა სრულიად საკავშირ ყრილობას წარუდგენ ლიტერატურულ ფრონტზე მოპოვებულ მთელ რიგ მნიშვნე ლოვან მიღწევებით.

მ. გრიგოლია

სანდრო ეული

საბჭოთა სომხეთს

მეც თქვენთა ვხარობ დღეს ბედნიერი,
ცეცხლი ალგზნებით გვინთია გულში
გვესმის სიმღერა, — სამი ძმა მღერის,
სამივეს ახსოვთ კვნესა წარსულში.
ათასი წლები უზიდავთ ტანჯვა
და შავ ბედის ქეშ მძიმე უღელ,
დღეს გულს არ უღრღნის აზერბეიჯანს,
საქართველოს და სომხეთს ნაღველი.
მათ ოქტომბერი ბრძოლით იწამეს,
ბევრჯერ მოურწყავთ სისხლით ქვეყანა
ბევრჯერ მზიანი დღე დაიღამეს,
რომ მზე მიწაზე ჩამოეყვანათ
გახსოვთ, — ოვანეს მოგვიწოდებდა:*)
„დავრჩეთ ქურუმნო ძმა და მეგობრად“
დიდი მგოსანი ალბად გოდებდა,
რომ მისი სიტყვა რჩებოდა ობლად,
მაგრამ ის დრო ჩვენ ვაკუთვნეთ წარსულს,
დღეს სხვა დრო არის და ძგერა გულის,
დიდი ეპოქის მიზანს დასახულს
ჩვენგან მაღალი სიტყვა ეკუთვნის
სიტყვა ნაჭედი ჩვენი გულიდან,
როგორც შეგვფერის სიტყვის ოსტატებს
ჩვენც პოეტებო, ყველა კუთხიდან
ვქმნით პოეზიის ჰაეროსტატებს,
მოძმე მწერლებო, სალამი თქვენდა!
მოქანდაკენო სომხური სიტყვის,
დღეს ხარობს თქვენი მშობელ დედა.
და გამარჯვების ცამეტ წელს ითვლის.
ვოჰ, ეს სურათი თქვენს წინ გაშლილი,
მკვდრეთით აღდგენა ძველი ქალაქის,
წინად რომ ღვრიდა ცრემლს თმა გაშლილი
ნატვრად ქცეულა ახლოს დანახვის
მაშ, მეგობრებო, გაშალეთ ფრთები
ეუფლეთ სივრცეს, გახსოვდეთ უნდა
„კაცის სულის ვართ ჩვენ ოსტატები
და ასეთებად დავრჩებით მუდამ!
მეც თქვენთანა ვარ დღეს ბედნიერი
გულები ცეცხლით გვაქვს ალგზნებული
დღეს გვიხარია და ყველა ვმღერით, —
საბჭოთა სომხეთს სალამი ძმური!

---

* სომხეთის უდიდესი პოეტი ოვანეს თუმანიანი, რომელმაც დასწერა ლექსი, „საქართველოს პოეტებს“.

ზაქრო დოლიაშვილი

პენსიონერი

1.
სდგას მოტორები. გუშაგებივით
და ნავთის კვამლში მძიმეთ ქშინავენ,
მოდიხარ აქ და წინ გაგეშლება
სამქროების რუხი ხიშავე.
მუშები დაზგებს ჩარიგებიან
(არ მოგწყინდება მათი ყურება!)
ქვეყნის სიმაგრის კედელს სწევს მაღლა,
ყოველი ბორბლის გადაბრუნება...
სად, დღე და ღამე ცეხიდან ცეხში
დაზგები დაზგებს ეჯიბრებიან,
ფოლადს აქებენ სიმტკიცით, მაგრამ
ფოლადზე მტკიცე—ბრიგადებია!..
2.
ქარხნის კედელზე ერთად მკიდია
ლენინისა და მარქსის სურათი,
იტყვის ჰაერთს ბრწყინვალე მზეა,
ნისლებით თვალებ დაუხურავი,
თითქოს ორივე დგანან ცოცხლები
და სამქროში მუშებს უცქერენ,
მათ ყოველდღიურ ბრძოლის შედეგებს
აქ მგონია გულში იწერენ.
რომ შემდგომ ბრძოლის გასაგრძელებლად
მოგვცენ ნათელი მიმართულება,
და მაინც ვამბობ: —მოწოდებაა,
სამქროებში მათი ყურება.
3.
ცეხში შემოდის მოხუცი მუშა,
სიბერით თმაწვერ გათეთრებული,
იქვე ყავარჯენს ჩამოეყუდა,
უცქერდა დაზგებს ჩაფიქრებული.
აქეთ-იქიდან აძლევენ სალამს,
—სალამი, როშაქ! სალამი, როშაქ!
ხალისიანად მოდიხარ ჩვენთან—
და არ გვეიწყებ სიბერის დროსაც!—
როშაქი.
იცოცხლეთ შვილნო!.. სიკვდილს არ ვჩივი,
მოხუცებულმა თუ კიდევ გნახეთ,
აი, დაზგებიც შეგმატებიათ,
გენაცვალე მაგ თქვენს ვაჟკაცურ სახელს!
ახალგაზრდა მუშა.
რა დამავიწყებს ჩემს სიცოცხლეში
ჩემო აღმზრდელო, ძვირფასო მამავ,
შენს მზრუნველობას, შენს თავდადებას
და შენს ფოლადის მკლავს მოუღალავს.
შენ მარიგებდი... ავცდი ხეტიალს
შენგან ვისწავლე მეც ეს ხელობა,
როცა [illegible] ჩემი მშობლები,
პურის მიტანას სახლში ელოდა.—
პირგამურული მუშა-ხარატი,
ბიჭუცს მხურვალედ გადაეხვია,
მგავდა აქ მათი გულის ხმაური
სამქროებში მოტორის გრიალს.
დადგა როშაქი ძველ დაზგის გვერდით
სადაც სიბერე შემოეპარა,
უცქერა დიდხანს.. ფიქრმა წაიღო
და ამ ფიქრშივე თავი დახარა
სთქვა დაღონებით:— შენ ჩემო დაზგავ,
ამდენ ხანს ერთად ვიბრძოდით მტკიცედ,
ეხლა შენ უფრო ჯეელი ჩანხარ
მე კი სიბერით თავში ხელს ვიცემ.
ეხლა რად არ მაქვს თვალში სინათლე
და ძველებური მკლავებში ძალა,
დე, მოვმკვდარიყავ შენივე გვერდით
ის რომ ხელიდან გამომეცალა!
მუშები.
რას ამბობ, როშაქ!.. ბუნების კანონს
ვერ გავექცევით, ესაც წესია,
როგორც ძველ მუშას შენ ხომ გეძლევა
გადიდებული შრომის პენსია!..
შენ მას ნუ სწუხარ: „წამერთო ძალა“
ყველას თავზეა სიკვდილ-სიბერე,
ალალი იყოს ჩვენი ამაგი,
ვინაც შენსავით დროს შეეფერებს.
ორმოც წელს დაზგას ედექ უცვლელად
ორმოც წელს ლითონს ებრძოდი მკლავით,
კვამლში და მტვერში ხანგრძლივმა შრომამ
დამორჩილა ეგ შენი თვალიც...—
როშაქი.
დღეს არ ვჩივილებ, გინდ მაკლდეს პურიც,
არა ვარ, არა, ფულის ჭამია,
როცა გიცქერით, დაზგის ხმაური
ყრუანტელივით ტანში გამიარს!..
მე, რომ ამ დაზგას შევეძმობილე.
ჯერ ისევ ვიყავ ბალღი პატარა
და ძველი ქარხნის მეპატრონისგან
მომიხდა მძიმე ტვირთის ატანა..
წავიდა ის დრო.. თან გაიყოლა
ჩემი ჯანღონეც მტარვალის ხელით,
თქვენთან დღეს არ ვარ, აი რას ვწუხვარ,
მელის დღე და დღე სიკვდილის წელი.
თქვენ მაინც შვილნო სანამ ჯანი გაქვთ
აშენეთ ქვეყნის მუშური კერა,
და მეც ვიხარებ, ვიდრე სიკვდილი
გამომტაცებდეს თქვენს ძვირფას მზერას!—
აგერ, ღუმელიც ამოინთება,
სამქროებზე წამოვა ბური,
ხან მას შეხედავს და ხან ყავარჯენს
როშაქი, მძიმეთ ჩაფიქრებული.
აგერ, ხარატმაც გაუშვა დენი,
შეკვეთას მორჩეს დროს ეშურება,
სდგას სამქროში მოხუცებულიც
თეთრი თმა-წვერით გაოყურება!..
პოეტო! როგორ გეპატიება
შავი ფიქრი და უსიტყვოდ დგომა,
თუ არ დაგივლის ყრუანტელივით
უძლურებაზე მოხუცის წყრომა!
აღარ გჭირდება გამოგონება
სინამდვილიდან გამოსჭერ სიტყვა,
თუ შენც ამ ქვეყნის მშენებელი ხარ,
თუ მოწინავე გმირები გიყვარს!..

1933 წ.

ტფილისი უნდა გახდეს ერთერთ ულამაზეს ქალაქად

ამ უფლებას, პირველ ყოვლისა, აძლევს მას რევოლუცია:

თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში წინა წინავე გვარდიას წარმოადგენდა ამიერკავკასია, კერძოდ საქართველო, ხოლო საქართველოს ცენტრი კი იყო ტფილისი.

რევოლუციის ყოველი მომენტი სისხლითა და ხორცად არის ჩართული ტფილისის არსებობაში. ამასა ჰხედავთ მლაშე ტბაზე პირველ მაისის საიდუმლო დღესასწაულიდან დაწყებული ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიულ დღეებამდე.

ზარდამცემი დემონსტრაციები, საიდუმლო სტამბები, ბრძოლანი, ხოცვა-ჟლეტანი, უდიდესი ტერორისტული აქტები, უმნიშვნელოვანესი, საერთო გაფიცვანი—აი რითი არის სავსე ტფილისის რევოლუციური აქტივი.

ამავე დროს ტფილისი იყო რევოლუციის არწივის საბუდარი. აქედან არიან გადმოფრენილი მრავალი თავდადებული და სახელმოხვეჭილი მებრძოლები სოციალიზმისა და კომუნიზმისთვის, რომლებიც საამაყოდ ამშვენებენ მსოფლიო პროლეტარიატის მებრძოლ გვარდიას.

ტფილისთან არის დაკავშირებული უდიდესი მწერლების სახელი; გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, გორკის.

ათას-ხუთასი წლის განმავლობაში ტფილისი წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცენტრს.

წარსული და თანამედროვე ისტორიის დოვლათით იმდენად არის დატვირთული ტფილისი, რომ იგი ერთგვარ გიგანტს წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების ფონზე.

გარდა ისტორიული, რევოლუციური და კულტურული ცენტრისა—ტფილისი ამავე დროს იქცევა საწარმოო ცენტრადაც. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა მომსახურეობა და ყოფა-ცხოვრების საკითხი იქცევა პირველხარისხოვან და გადაუდებელ ამოცანად.

ტფილისს ამავე დროს აქვს პირობები და საშუალება—იქცეს ერთ ულამაზეს ქალაქად მთელ საბჭოთა კავშირში.

მართალია მწვანეულობის მხრივ მეტად ღარიბია ტფილისი. მაგრამ მისი თავისებური გეოგრაფიული რელიეფი ყოველ მხრივ ხელსაყრელია ტფილისის კეთილმოსაწყობად და გასალამაზებლად.

რაც შეეხება ნივთიერ საშუალებებს—ტფილისის ბიუჯეტი საკმაოდ ძლიერია. საკუთარი თანხები თუმცა არ კმარა ჩვენი ქალაქის გასამშვენიერებლად და კეთილმოსაწყობად, მაგრამ ამ საქმეში მაინც ეს არის მთავარი დასაყრდენი. ამას ემატება ჰულუხვი ძმური დახმარება ა.-კ. რესპუბლიკებისა და საკავშირო მთავრობისა. ყველა ეს სახსრები მეტად დიდმნიშვნელოვანი ძალაა, რომ ტფილისს მიეცეს თანამედროვე, სოციალისტური ქალაქის სახე.

საერთოდ სოციალისტურ მშენებლობაში, ცხადია, ტფილისს მეტად თვალსაჩინო ნაბიჯები აქვს გადადგმული, მაგრამ კეთილმოწყობის მხრივ მიუტევებლად არის ჩამორჩენილი.

ათეული წლის განმავლობაში ათეული მილიონებია დახარჯული ამ საჭიროებაზე. მაგრამ ყველაფერი კეთდება ისე ნაგლეჯ-ნაგლეჯად, უსისტემოდ, რომ თვალსაჩინო ეფექტს ვერ სტოვებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ ქალაქის სოციალისტური მშენებლობის და მისი საწარმოო ტემპების განვითარებას, ჰმაშინ ამათთან შედარებით კეთილმოწყობის დარგში ჩატარებული მუშაობა უფერო და უმნიშვნელოდ მოგვეჩვენება.

უკვე ყველა გრძნობს აუცილებლობას, რომ ფართო მასშტაბით დაისვას ტფილისის გამწვანების, მხატვრული გაფორმების, ისტორიულ-რევოლიუციური ნაშთების მოვლის, ღირსეული ძეგლებით შემკობის საკითხები.

მთაწმინდისა და ნარიყალის გორებს იშვიათ სამკაულად ჩაითვლიდა ყოველი დიდი ქალაქი. ჩვენთვის კი იგინი თითქოს აულშემხუთავ ზედმეტ ზღუდეს წარმოადგენენ. უკვე დრო არის შევუდგეთ მუშაობას, რომ ისინი გადაიქცნენ დასვენებისა და სილამაზის ამფითეატრად.

ტფილისს სასუნთქავი ჰაერივით ეჭირვება ტყეები. ათობით შენობებს კი ავაგებთ წელიწადში, მაგრამ ტყეების და პარკების გაშენებას ათეული წლები სჭირდება. საამისოდ საკმაო მინდვრები და ფერდოებია ვაკეზე, საბურთალოზე, დიდუბეში, ნაძალადევში, მახათის გორებზე. ამ მხრივ ყოველი დაგვიანებული წელიწადი ნამდვილ დანაშაულს წარმოადგენს ხვალინდელი გაზრდილი და განვითარებული ტფილისისათვის.

მადათოვის კუნძული დღესვე მოითხოვს სასარგებლოდ გამოყენებას. შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს—ქალაქის ცენტრში საუკეთესო ადგილი ასე მიგრეულ-მოგრეული იყოს. განა დასვენებისა და კულტურის ბაღისათვის ამაზე შერჩეული ადგილი კიდევ მოიპოება სადმე? ამ კუნძულის კეთილმოწყობა ნამდვილი გვირგვინივით დაამშვენებს მთელ ქალაქს.

დღე და ღამე შენდებიან და ფართოვდებიან მუშათა უბნები. მაგრამ ჯერაც არავის არ უფიქრია იქ ბაღებისა და პარკების მოწყობაზე. და როცა იფიქრებენ, მაშინ უკვე დასანგრევი გახდება მთელი ქუჩები და უბნები. ეს კი არც ისე ადვილი საქმეა.

ღირსშესანიშნავი ძეგლები თითქმის სრულებით არ მოეპოვება ტფილისს—არც ისტორიული, არც რევოლიუციური. შესაძლებლობა კი არის, ერთიც ჰქონდეს და მეორეც, მეტადრე ისეთ ისტორიულ და რევოლიუციური ცენტრს—როგორიც არის ტფილისი.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი არალეგალური სტამბის ტიპიც კი არ არის მოწყობილი. ეს კი ნამდვილად აუცილებელია და სავსებით შესაძლებელი საქმეა, სანამ ცოცხლები არიან როგორც ამ სტამბის ამშენებელ-მომწყობნი, ისე იქ მომუშავე მებრძოლები (ამაზე ცალკე მექნება წერილი).

მხატვრულ გაფორმებაზე მრავალი თქმულა, მრავალი დაწერილა, რამდენიმე დადგენილებაც გამოსულა, მაგრამ არსებითად გრძელდება ისევ ყოვლად არა მხატვრული მშენებლობა. უშნო და ულაზათო შენობა ადვილად იგება, მაგრამ შემდეგ აღას ველარ დაანგრევ და სანამ თავის დროს არ მოსჭამს, ისე შერჩება ქალაქს მიუტევებელ სიმახინჯედ.

ეს მხოლოდ რამდენიმე მთავარი მხარეა ქალაქის კეთილმოწყობისა. მაგრამ აქ საფუძვლიანად ვერაფერი გაკეთდება, სანამ ტფილისი არ შეიმუშავებს მტკიცე გენერალურ გეგმას. უამისოდ ისევ გაგრძელდება ეს უილაჯობა, უსისტემობა, რომელთა სიმძიმეც ერთბაშად გახდება საგრძნობი ქალაქის მცხოვრებ მასებისათვის, მაგრამ გვიანღა იქნება საქმის გამოსწორება.

ამ საჭიროებას უკვე ყველანი გრძნობენ. განსაკუთრებით გამახვილდა ეს გრძნობა ამხ. ბერიას საპროგრამო სიტყვის შემდეგ ტფ. საბჭოს პლენუმზე.

ამ მიზნით ტფილისის საბჭო სცდილობს თავის მუშაობაში ჩააბას სხვადასხვა ორგანიზაციები და ცალკეული პირები.

საბჭოთა მწერლებმაც იდეს თავს ამ ყოვლად სასარგებლო მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

უკვე ალმასკომზე მიმაგრებულია რამდენიმე ბრიგადა სხვადასხვა დარგის მიხედვით, ამ ბრიგადებში შედიან საბჭოთა მწერლობის აქტივის საუკეთესო წევრები.

ალმასკომი ჩვენა გვთხოვს დახმარებას ჩვენც ალმასკომსა ვსთხოვთ ხელისშეწყობას ამ დახმარების გასაწევად.

მაინც რაში უნდა გამოიხატოს ჩვენი დახმარება?

პრაქტიკულად **უნდა** დავინტერესდეთ ჩვენი საქალაქო მეურნეობისა და მშენებლობის ყოველი დარგით.

ღირსებაზე და მიღწევაზე უნდა დავილაპარაკოთ და დავსწეროთ წამახალისებლად.

ნაკლზე და ჩამორჩენაზე უნდა დავილაპარაკოთ და დავსწეროთ საფუძვლიანად.

ჩვენ მუშაობას უნდა ჰქონდეს სისტემატიური, სერიოზული და ანგარიშ გასაწევი ხასიათი.

თუ კი ტფილისის ალმასკომი ყოველ ჩვენ საფუძვლიან სიტყვას და ძახილს ღირსეულად შეიფერებს პრაქტიკაში გასატარებლად—ეს იქნება ჩვენთვის საუკეთესო ჯილდო.

ეს იქნება ნამდვილი თანამშრომლობა ტფილისის კეთილმოწყობისა და გამშვენიერების საქმეში.

ლევ. მეტრეველი

კალიაევის დაღმართი

ტფილისს ისევ მოწმენდილი ცა დაჰყურებს. ამ ცას არსად აჩნია ღრუბლის ლაქა. ტფილისი უჩვეულო სანახვია ამ დილით. ახლა მუხრანის ხიდთან ვდგევარ.

აქ თავდება ის დაღმართი, რომელიც რევოლუციამდე თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ქართველი გენერლის ციციანოვის—ციციშვილის სახელს ატარებდა. ეს ის ცნობილი გენერალი იყო, რომელიც 1797 წ. მეფე ეკატერინეს დავალებით რუსეთის იმპერიას უპყრობდა კასპიის მხარის ქვეყნებს კერძოთ ამიერ-კავკასიას და რომელიც შემდეგ ბაქოში ჰუსეინ-ხანმა მოტყუილებით გალავნის კართან მოჰკლა ორი სამხედრო პირის თანხლებით.

ამ „გმირობისა“ და „თავდადებისათვის“ მისი ნეშტი 1811 წ. გადმოასვენეს ტფილისში და დაკრძალეს სიონის ტაძარში, ხოლო მისი „სახელის უკვდავსაყოფად“ ამ დაღმართს მიაკუთვნეს ციციანოვის სახელი.

შავი რეაქციის მძვინვარების პირველ წლებიდან ამ დაღმართს შერჩა ციციანოვის სახელი.

რევოლუციამ წაშალა ყველაფერი ეს, რევოლუციის პირველ წლიდან ეს დაღმართი ატარებს ცნობილი რევოლუციონერის კალიაევის სახელს.

კალიაევის დაღმართი თითქმის ქალაქის შუაგულშია ჩაქანებული.

ძველ დროში არავის უფიქრია მის კეთილმოწყობაზე ის უბადრუკი შესახედავი იყო დღემდე.

კალიაევის დაღმართი, ყველაზე უფრო ვიწრო გზაა ძველ-ტფილისის ფარგლებში, ის ისე დაიტვირთა, ისე გაიჭედა ჩვენი მოტორიზირებული ტრანსპორტით უკანასკნელ წლების განმავლობაში, რომ აქ დღე და ღამე ტევა არ არის, გასაქანი არ არის.

ავლაბარ-ნავთლუღის რაიონშია თავმოყრილი ფაბრიკა-ქარხნები, საბჭოთა და კოლექტიური საგარეუბნო მეურნეობანი, აქვე არის ქალაქის უდიდესი სასაკლაო, აეროდრომი, საავადმყოფო, კოოპერატიული დაწესებულებათა და ტრესტების საწყობები. ამავე რაიონშია მრავალი ადმინისტრატიულ-სამეურნეო, კულტსაგანმანათლებლო უწყებები და სხვა.

ქალაქის დაგეგმვასთან დაკავშირებით ავლაბარში ეწყობა უდიდესი სამოქალაქო საჰაერო ბაზა, პურის, კარტოფილის და სხვ. სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების უდიდესი, ცენტრალური, საწყობები; აქვე შენდება ქალაქის უდიდესი მაცივარი, მარგარინის ქარხანა, მაკარონის ფაბრიკა, ქაღალდის ფაბრიკა, და სანიმუშო პურის საცხობი, რომლის წისქვილის მთავარი კორპუსი ჩქარა მიუახლოვდება მეშვიდე სართულს.

ამრიგად ნავთლუღიდან სოღანლუღამდე გადაშლილმა ტფილისის აღმოსავლეთ ნაწილმა თავისი სამრეწველო და სამეურნეო ნაწარმოებთა უდიდესი ნაწილი ტფილისის მუშა-მოსამსახურეებს უნდა მიაწოდოს კალიაევის იმ ახალი დაღმართით, რომელიც შენდება ამჟამად.

თუ გადავხედავთ მგზავრთა და ტვირთის იმ უჩვეულო მოძრაობას, რომელიც ამჟამად სწარმოებს ამ მიმართულებით, აშკარაა—მომავალ წლებს რომ თავი დავანებოთ, დღესვე საჭიროა, თუნდაც ერთი მაგისტრალურის გზა ნავთლუღისაკენ.

ტფილისიდან ამ უბანში გასვლისას ყველაზე უფრო მოხერხებული ადგილია კალიაევის დაღმართი, რომელსაც მისი ძველი მოაჯირიდან დავსცქერით ახლა და რომლის ძველი პანორამა უბადრუკ შესახედავად მეშლება თვალწინ.

აი, მარცხნივ ცამდე ატყორცნილა კლდე. ეს ხავსითა და ბალახ-ბულახით შეფუთვნილი ფრიალო, რომელსაც ალაგ-ალაგ დატანებული აქვს აგურის კედლები და თითქოს თუ ცემენტის მილები, ეს ჩამონაჟონი გიგრძოვანი წყლით შელორწილი გოლიათი, თითქოს გადმოვარდნას და დამხობას აპირობს ამ ვიწრო დაღმართზე. კლდიდან ზამთარ-ზაფხულ გამუდმებით ჟონავს წყალი და მიყვება ის კლდის გასწვრივ ამოთხრილ პატარა ღარს, წყალი მიდის დაღმართის დასასრულისაკენ, ეს წყალი აქ იყრის თავს და გამუდმებით დგას გუბე.

ამ ალაგას თუ მგზავრებს მოუსწრო ჩაქანებულმა ავტომ, შენი მტერია, კაბუტ ჩურჩხელებს დაემსგავსებიან ტლაპოში ამოვლებულნი.

ამ დაღმართის მარჯვენა მხარეზე კლდეში ამოთხრილია უზარმაზარი ორმო, იქიდან ამოშენებულია ის საყრდენი გიგანტი კედელი რომელიც მისდევს დაღმართს თავიდან ბოლომდე. ამ კედლიდან მტკვრის ნაპირამდე ერთიმეორეზე მიყრილია ძველის ძველი ხავსიანი კრამიტით გადახურული ქვის სახლები.

დაღმართის მარჯვენა მხარეზე მისდევს ვიწრო ფილაქანი, რომლითაც დადიან ქვეითა მგზავრები.

საკვირველია, რამდენად მოუწყობელი იყო ძველი ტფილისი; რაღაც განსაკუთრებული „ნიჭი“ უნდა ჰქონოდა ამ დაღმართის პირველი „პროექტის“ ავტორს, როცა ასეთ უხამს რამეს აკეთებდა.

ეს დაღმართი მაგონებს მთიან სამეგრელოში სვანეთისაკენ გასავლელ ხეობას ენგურის ნაპირებზე, საიდანაც თუ ფეხი დაგიცდა უნდა გამოემშვიდობო ქვეყანას, ეს ფილაქანი კიდევ ამ მთაში გადაკარგულ საცალფეხო გზას მაგონებს ახლა. ხოლო კლდის თავზე წამომდგმული სახლები, ჰაერში გადაკარგულ შენობებს. ასე გგონია აქაური მკვიდრნი არსოდეს ჩამოსულან ქვევით.

ამ ფილაქანზე ორი ადამიანი ვერ ჩაუვლის ერთი მეორის.

ასეთია ეს დაღმართი დღემდე, რომელიც მიემართება ამ გოლიათ კლდის გასწვრივ და თავდება სწორედ იმ ვიწრო ადგილას, სადაც ალაზნის ქუჩა და კალიაევის შესახვევი უერთდება ერთიმეორეს.

ტრამვაი, რომელიც ახლა მიღოღავს [illegible] ისე დღუნჯღრევია ამ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებსა და ციცაბო დაღმართზე ტარებას, რომ არაფერი გამოუცლია მისთვის, შერყევია მისი ყოველი ნაწილი და ის ძალიან მიაგავს სხვებზე ნაგდებ მოძველებულ აკვანს.

კახეთის მოედნიდან დაღმართის დასაწყ-

(დასასრული მე-4 გვ.)

საკითხების პირდაპირ და მკაფიოდ დასმისათვის

ნაციონალური რესპუბლიკების საბჭოთა მწერლობის განვითარების გრანდიოზული მასშტაბი უდაო ფაქტია. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში შესაძლებელი გახდა ფართო გაშლა იმ შემოქმედებითი ძალების, რომლებიც მშრომელ ხალხში იყვნენ ჩამარხულნი და რომელთაც საუკუნოების მანძილზე ახშობდენ ექსპლოატატორული კლასები. როგორც შენიშნავდა **ენგელსი**, ის რაც შექმნა კაცობრიობამ მთელი თავის ისტორიის გასწვრივ სოციალიზმამდე, მეცნიერების, ხელოვნების დარგში, საცოდავ ლანდად მოგეჩვენებათ იმასთან შედარებით, რისი უნარიც მას ექნება, განთავისუფლებულს კაპიტალისტურ მონობიდან. წამოიწიეს ახალი კადრები, რომლებიც ახალ და ახალ მაღლობებს იპყრობენ საერთოდ სულიერი შემოქმედების ყოველ დარგში. საბჭოთა ლიტერატურა შექმნის არა ერთ ნაწარმოებს, რომელშიაც გადაჭრილი იქნება დიდი პრობლემები ჩვენი დიადი ეპოქის. ეს ასეც უნდა იქნეს. ჩვენი ლიტერატურული ფრონტი შემადგენელი ნაწილია იმ გმირული ბრძოლის, რომელსაც მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის. ჩვენი კულტურა გამსჭვალულია ამ ბრძოლის შინაარსით, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით.

ნაციონალური რესპუბლიკების საბჭოთა ლიტერატურა მთელი თავისი მრავალფეროვანობით, უდაო მიღწევებით უნდა წარსდგეს პირველ საკავშირო ყრილობაზე, რომელსაც საბჭოთა მწერლებთან ერთად ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, მშრომელი მასები ამზადებენ. ნაციონალური რესპუბლიკების საბჭოთა მწერლობისადმი ყურადღების შედეგია ის ფაქტი, რომ ყრილობის დღის წესრიგში სდგას მოხსენებები ნაციონალური რესპუბლიკების საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ადგილებზე მივლინებულ ბრიგადების პრაქტიკული მონაწილეობა მოსამზადებელ მუშაობაში პირველ საკავშირო ყრილობისათვის. საუკეთესო თავდებია იმის, რომ ცეკას 23 აპრილის ისტორიული დადგენილების საფუძველზე სალიტერატურო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა სწრაფი ტემპით წარიმართება და ყრილობაზე მთელი სისრულით იქნება გადაშლილი ნაც. რესპუბლიკებში საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მთელი სურათი.

ნ. მიწიშვილის წერილი — „საკავშირო ყრილობა და ნაციონალური მწერლობის საკითხები“, გამოქვეყნებული საორგანიზაციო კომიტეტის უკანასკნელ პლენუმამდე (იხ. „ლიტ. გაზეთი“ № 18), ფრიად საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს. იგი მთელ რიგ მომენტებში საყურადღებოა არა მარტო როგორც მიკიბულ-მოკიბული და დაუმთავრებელ აზრთა მსვლელობის ნიმუში, არამედ უმთავრესად იმ მხრივ, რომ, გამოხატავს ჩვენი ლიტერატურული წრების ერთი ნაწილის გარკვეულ განწყობილებებს, გარკვეულ სულისკვეთებას ისეთ კარდინალურ საკითხებში, როგორიცაა საკითხი ნაციონალური რესპუბლიკების საბჭოთა მწერლობის განვითარების გზების შესახებ.

შევჩერდეთ ავტორის რამოდენიმე დებულებაზე.

ნ. მიწიშვილი ერთი მხრივ აღიარებს, რომ რუსეთის საბჭოთა მწერლობა წამყვანი ძალაა, ახალი გზის მაცნეა მთელი თანამედროვე საბჭოთა მწერლობის. იგი ამას ბუნებრივ პროცესად თვლის. მაგრამ იქვე დასძენს:

„ნაციონალურ რესპუბლიკების ლიტერატურულ ძალებს, განსაკუთრებით ზოგიერთი რესპუბლიკებისას, საკუთარი სისუსტის გამო, ახალის თქმა ამ სფეროში, ან ნათქვამის თავისებურად გადახარშვა ჯერ კიდევ უძნელდებათ. ნაციონალური რესპუბლიკების საბჭოთა მწერლობაში საქმე გვაქვს რუსული ნიმუშების თარგად გადაქცევის ცალკე შემთხვევებთან“.

ამ დებულებას ავტორისათვის ზოგჯერ ჩვეული მანერის ორმაგობის დაღი აზის.

მთავარი აქ მაინც ნიუანსებია, მოუხელთებელი სტრიქონებს შორის. საკითხების პირდაპირ და აშკარად დასმის მაგიერ, მიხვეულ-მოხვეული მსჯელობა, ზოგჯერ სიტყვების ბანზე აგდება, გარკვეული ცდები საკითხის არსის მიფუჩეჩებისა.

მდგომარეობას ვერ სცვლის ავტორის დებულება იმის შესახებ, რომ „ნაციონალურ რესპუბლიკების საბჭოთა მწერლობაში საქმე გვაქვს რუსული ნიმუშების **თარგად გადაქცევის ცალკე შემთხვევებთან**“. ეს იმიტომ, რომ სიმძიმის ცენტრი მდგომარეობს არა იმაში, რომ მართლაც ადგილი აქვს „თარგად გადაქცევის ცალკე შემთხვევებს“, არამედ იმის მტკიცებაში, რომ ნაციონალური რესპუბლიკების ლიტერატურულ ძალებს, **„ახალის თქმა ამ სფეროში, ან ნათქვამის თავისებურად გადახარშვა ჯერ კიდევ უძნელდებათ“**. ამავე აზრს უფრო ნათლად და გარკვევით ნ. მიწიშვილი შემდეგნაირად აყალიბებს ცოტა ქვემოთ:

„თვითეული ეს ლიტერატურა (ლაპარაკია ნაციონალურ რესპუბლიკების ლიტერატურაზე. დ. დ.) ვითარდება ერთი გზით, და იმგვარად, როგორადაც საკუთარი ძალებით მოახერხებს იგი დღეს წამყვან რუსული მწერლობის შეგრძნობასა და ათვისებას“.

მაშასადამე ერთის მხრივ „თარგად გადაქცევის ცალკე შემთხვევები“ და მეორეს მხრივ განვითარების ერთი გზა: როგორადაც მოახერხებს საკუთარი ძალებით შეგრძნობას და ათვისებას წამყვან რუსული მწერლობის. აშკარაა წინააღმდეგობა, ერთი ხელის მოსმით იმის უარყოფა, რაც წინათ სთქვა.

რომ გავაშიშვლოთ ავტორის დებულებები, იგი შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ნაციონალური რესპუბლიკების საბჭოთა ლიტერატურა მხოლოდ ნათქვამის — რუსულის მწერლობის გადახარშვაა, მას თავისი გზები არა აქვს. ეს კი ეპიგონობის, გაუპიროვნების საფრთხის წინაშე გვაყენებს. მაშასადამე ავტორის თვალსაზრისით შემოქმედება რუსულ მწერლობის [illegible]. აშკარაა, რომ ავტორი ნაციონალური რესპუბლიკების ლიტერატურის განვითარების საკითხს ნაციონალისტურ პოზიციებიდან აშუქებს. მისი დებულებებიდან ცხადათ გამოსჭვივის საკუთარ ნაციონალურ ნაჭუჭში მომწყვდევის ტენდენცია. ავტორი **უპირისპირებს** ნაციონალური რესპუბლიკების საბჭოთა მწერლობას რუსულ ლიტერატურას, ერთგვარად **უგულებელყოფს** იმ საერთო იდეებს, მისწრაფებებს, რომლებიც **აერთიანებენ** ჩვენი ლიტერატურის ყველა რაზმებს; მას მხოლოდ ის უნდა დაინახოს, რასაც შეუძლია ისინი დააშოროს ერთი მეორეს.

ჩვენ ვქმნით ლიტერატურას თავისი შინაარსით სოციალისტურს და ნაციონალურს თავისი ფორმით. ეს ლიტერატურა თავის შინაარსით კლასიურია. იგი შენდება მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობის საფუძველზე ემსახურება პროლეტარიატის დიად მიზნებს. ჩვენი ლიტერატურა ერთ-ერთი მძლავრი იარაღია მასების კომუნისტური აღზრდის. მხოლოდ მუშათა კლასის გამარჯვებამ, პროლეტარიატის დიქტატურამ შეუქმნა, ყველა პირობები საბჭოთა კავშირის ხალხებს გამოემჟღავნებია თავისი შემოქმედებითი პოტენცია. მხოლოდ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე შეიქნა შესაძლებელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის განვითარება.

ნ. მიწიშვილი თავდაყირად აყენებს საკითხს. მას ეპიგონობად მიაჩნია ზეგავლენა რუსული მწერლობის. ამავე დროს კი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირში შემავალ ერების ლიტერატურულ კონტაქტზე, მის საჭიროებაზე. ერთის მხრივ იგი უარყოფითი ასპექტში აყენებს რუსული მწერლობის ზეგავლენის საკითხს, მეორეს მხრივ კი ლაპარაკობს, რომ საბჭოთა კავშირის კულტურა იქნება „ყველა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების მიერ“.

„უეჭველია, ამ ტენდენციით უნდა ვითარდებოდეს და **ვითარდება თანამედროვე მწერლობა** და ხელოვნება საბჭოთა კავშირში“.

საერთოდ ამ წერილში ხშირად ვაწყდებით ავტორის გაორებულს, ორ სკამზე მჯდომის პოზაში. ეს იმიტომ, რომ წინააღმდეგობათა ატმოსფეროში უფრო უკეთ გრძნობენ თავს, კმაყოფილებას განიცდიან, როცა ასრულებენ ლიტერატურული შუამავლის როლს.

ავტორი ანვითარებს რა თავის შემცდარ მიუღებელ შეხედულებებს ნაციონალური რესპუბლიკების საბჭოთა ლიტერატურის განვითარების, გზების შესახებ სწერს:

„ამ გარემოებათა ნიადაგზე უნივერსალურ ლოზუნგს — ნაციონალურ ფორმისა და სოციალისტური შინაარსის შესახებ ლიტერატურის დარგში უსუსტდება თავის ცხოველმყოფელი სიმახვილე, და კონკრეტული შემოქმედებითი შინაარსით მისი ავსება მწერლობაში მეტად ძნელი ხდება“.

ავტორს ამით იმის თქმა უნდა, რომ რუსული მწერლობის ზეგავლენის გამო ლოზუნგი — ნაციონალურ ფორმისა და სოციალისტური შინაარსის შესახებ ლიტერატურის დარგში მაინც და მაინც ჩვენს სინამდვილეში ვერ ხორციელდება.

განა ჩვენი თანამედროვე საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ნიმუშები არ ამტკიცებენ იმას, რომ ამ ლოზუნგმა ჩვენს სინამდვილეში ხორცი შეისხა, რომ მის საფუძველზე ვითარდება ჩვენი მწერლობა, ჩვენი კულტურა, მის საფუძველზე მოპოებულია დიდი მიღწევები.

ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ და არ ვაწარმოებთ ბრძოლას დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, არა. ნაციონალური კულტურის მშენებლობის შეფერხების, ხელის შეშლის ყოველგვარ ცდას პარტია გააფთრებით ებრძვის. „პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი, საბჭოთა კავშირში ეს არის პერიოდი ნაციონალურ კულტურათა თავისი შინაარსით სოციალისტურის და ნაციონალურის თავისი ფორმით, **გაფურჩქვნის** პერიოდი“. (**სტალინი**).

ნ. მიწიშვილი სწერს:

„უნდა შევნიშნოთ, რომ თავის მხრივ შინაარსის საკითხი დიდ გავლენას ახდენს ფორმის ხასიათზე და რამდენადაც ამ შინაარსს სხვა ნაციონალური რესპუბლიკების ახალი საბჭოთა მწერლობა უმთავრესად რუსული ნიმუშების მიხედვით სწონის, ნაციონალური ფორმაც ხშირად ვერ პოულობს სათანადო გამოსახულებას“.

ნ. მიწიშვილი ფიქრობს, რომ ქართულ მწერლობაში შინაარსი სხვა უნდა იქნეს, განსხვავებული რუსული მწერლობის შინაარსისაგან. სხვაგვარად გაუგებარია, თუ რატომ ნაციონალური ფორმა ხშირად თავის გამოსახულებას ვერ პოულობს. საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურა, ლიტერატურა, იქმნება როგორც აღვნიშნეთ მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობის საფუძველზე. იგი კლასობრივი კულტურა, კლასობრივი ლიტერატურაა. მაშასადამე შეუძლებელია აქ ლაპარაკი, პრინციპიულად სხვადასხვა შინაარსზე. ჩვენი ლიტერატურა საერთო სოციალისტური მშენებლობის ფრონტის ორგანიული ნაწილია. ჩვენს ლიტერატურას, როგორც, რუსეთის, ისე საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა დანარჩენ რესპუბლიკების საბჭოთა მწერლობასთან, აერთიანებს **სოციალიზმის** მშენებლობის ამოცანები, ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის. აი სწორედ ეს არსებითი ძირითადი მომენტი რჩება ნ. მიწიშვილის მხედველობიდან.

ავტორს ნაციონალური ფორმა რაღაც განყენებულად, შინაარსისაგან მოწყვეტილად აქვს წარმოდგენილი. ვფიქრობთ, რომ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ნაციონალური ფორმა სოციალისტური შინაარსით, კლასობრივია თავისი ბუნებით და წინააღმდეგობას აქ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს.

როგორც ცნობილია, ლიტერატურაში ყველა არა თავის თავადაა ღირებული არამედ მხოლოდ თავის ურთიერთდამოკიდებულებაში მთელთან. ნ. მიწიშვილმა მთელ რიგ თავის დებულებებში ახანა უსათუოდ გარკვეული ნაციონალისტური განწყობილებები.

ჩვენი მოვალეობაა ვამხილოთ და შევებრძოლოთ ნაციონალისტურ განწყობილებათა ყოველგვარ გამოვლენას, როგორი სახითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი.

დ. დემეტრაძე

კალიაევის დაღმართის გაფართოება



კალიაევის დაღმართის პროექტი

მარცხნიდან: მშენებლობის უფროსი ინჟ. ვ. სალუქვაძე, მარჯვნივ: მშენებლობის უფროსის მოადგილე ინჟ. ნ. სლავინსკი.

ყისამდე გავლის დროს მომაგონდა ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“.

აი, რას წარმოადგენს ეს ვიწრო ადგილი დღემდე.

როგორი იქნება ის ხვალ, რა სახეცვლილება უნდა განიცადოს ამ უბანმა ამ ერთი წლის განმავლობაში?

ქალაქის საბჭო მეორე წელია, აქ აწარმოებს მუშაობას. ის აფართოებს ძველ დაღმართს ინჟ. ჭავჭავაძის გეგმით.

ეს გეგმა შედგენილია იმ გვარად, რომ დღევანდელი დაქანებული მდგომარეობა მოისპოს. დაღმართის დასაწყისი ალაზნისა და კალიაევის ქუჩის კუთხე, რომელიც საგრძნობლად ამოწეულია კახეთისა და მუხრანის ხიდის მოედნების დონიდან, ჩაჭრილი იქნება, დაღმართი თანდათანი სიმაღლით გაყვება მარჯვენა მხარეზე ამოყვანილ კედლის დონეს, ხოლო ალაზნის ქუჩას ამ დაღმართზე ექნება ჩასავალი ბეტონის საფეხურები. ამ გვარად დაღმართი დასრულდება არა ალაზნის ქუჩის კუთხეში არამედ პირდაპირ კახეთის მოედანზე.

ეს საშუალებას მისცემს ტრანსპორტსა და მგზავრებს ვერ იგრძნონ დაღმართის დღევანდელი ძლიერი დაქანება. ამჟამად არსებულ კალიაევის ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული „მზის დაბნელების“ დროინდელ ქუჩაზე აყრილ იქნება სახლები.

ეს ღონისძიება გააგანიერებს დაღმართს 24 მეტრით. ამ დაღმართს თავიდან ბოლომდე ორივე მხრით გაჰყვება ფილაქანი, ხოლო კლდიდან გამონაჟონი წყლის დღევანდელი ყამირის ღარის მაგივრად მიეცემა სპეციალური სადენი მილი სულ სხვა მიმართულებით, რომელიც გაივლის დაღმართის სიღრმეში საყრდენი კედლის გარეთ.

დაღმართის რეკონსტრუქცია დაიწყო 1932 წელი თებერვალში. პირველად სამუშაოს გადაერიცხა 850.000 მან. აქედან დღემდე მიღებულია და მოხმარდა მშენებლობას **500.000 მან.**

გასული წლის სამუშაო გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად: ორმოების ამოთხრა საძირკვლების ჩასაყრელად გეგმით მოცემული იყო 4100. შესრულებულია 4338, გეგმა შესრულდა 105,8 პროც., საყრდენი კედლის ამოყვანა გეგმით მოცემული იყო 10500. შესრულდა 7168, გეგმის—683,0 პროც., როგორც ვხედავთ სამუშაოთა გასული წლის მთლიანი გეგმა არ არის შესრულებული. ეს აიხსნება ცუდი დაფინანსებით. მაგალითად ტფილისის საბჭოს მიერ გამოყოფილ თანხიდან მშენებლობას დიდხანს არ მიუღია 300.000 მან. ამ მდგომარეობამ შესამჩნევად შეაფერხა მუშაობის წარმოება.

უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა.

ტფილისის საბჭომ ამხ. **ლ. ბერიას** მითითების საფუძველზე უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი ამ მშენებლობას და მიმდინარე წლის ბოლომდე ჩასატარებელ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭირო თანხა მილიონ მანეთამდე გაადიდა.

დღეს გამოსასვლელი დღეა, მაგრამ ამ უბანს არაფერი ეტყობა სამისო.

ირგვლივ მშენებლობის ნამდვილ „ციებცხელებაა“.

ერთი მეორეში ირევიან: მუშები, მანქანები, ბრიგადირები, ამ ვიწრო ადგილას შემოჭრილი ეტლები, ავტოები, ტაჭკები, ტრამვაები, ურმები, ფურგუნები. ქვეითი მგზავრები.

ხმაური, შეძახილი, ზარი, მშენებლობის ბუღი, კორიანტელი და შემოდგომის გაშლილი მზე ჩამდგარი ძველ ტფილისის ამ უბანში ამ დილით.

აი, დგას მანქანა—ქვის მტვრევი. ის დავარდნილ აქლემივით დაყუდებულა კლდის პირას და გამალებით ახრამუნებს რიყის ქვას. აქვე მუშები წერაქვებით უკირკიტებენ პიტალო კლდეს, ზემოდ მექანიკური ჩხვერეტით—ტიუფორატორებით იბურღება მილიონ წლების განმავლობაში ამ დაღმართის ქვეშ უხმად გაწოლილი კლდე, რომელსაც ჩქარა გულღვიძლში უნდა ჩაუდვან ამანალი, სოლინატი და დინამიტი, შემდეგ ააფეთქონ და ფენებად გადმოშალონ ძირს. ეს აფეთქებული და ლოდებად ქცეული კლდე ხმარდება აქვე უზარმაზარ საყრდენ კედლის შენებას.

*

საყრდენი კედლის თავი დაწყებულია რიყის ქუჩის მარცხენა ფილაქანზე. ამ კედელმა უნდა გადაჭრას რიყის ქუჩა და მოპირდაპირე მხარეზე სახლი №№ 60, 62 და 66 აყრით უნდა გავიდეს მტკვრის პირად პეტრიწის ქუჩის კუთხემდე.

ამ დილით სწორედ აქ არის გაცხოველებული მუშაობა. მუშაობენ არა მარტო მშენებელი მუშები, არამედ ტექნიკური პერსონალიც კი ფიზიკურად მუშაობს აქ მომუშავეთ გვერდით უდგას მშენებლობის წარმოებელი ინჟ. **ა. ჩიტაიშვილი** და ტექნიკოსი **მ. კაშიაშვილი.**

ირგვლივ ირევიან შაბათობაზე გამოსული ინდუსტრიალური ტექნიკუმის უკანასკნელი კურსის მოწაფე ქალები და ვაჟები.

ისინი ეზიდებიან ლოდებს, რიყის ქვას ლოდს, ხარაჩოებისათვის დამზადებულ ხეტყეს, აგურს.

ურიამულში ჩამდგარი მოწაფე ქალ-ვაჟთა ერთი ჯგუფი ასულა აგურის შენობის თავზე, სახურავი აუყრიათ. მერე კედელზე მიუდგამთ სამი ფიცრისაგან გაკეთებული „წეროწვილის ღარი“, კედელს შლიან, აგურებს ოდესღაც ცემენტით ერთი-მეორეზედ დადუღებულ ქართულ ბრტყელ აგურს, აწყობენ მას თითო ფურცლობით, ფრთხილობენ არ დაამტვრიონ, და სრიალით უშვებენ ძირს.

თურამაულის ვაშლივით ლოყაწითელი გოგონები შემდგარან მზეში ამ ძველი სახლის კედელზე და ხალისით ასრულებენ [illegible] საუცხოოდ, სიცილ-კისკისით ეხმარებიან [illegible] მუშებს ტფილისის კეთილმოწყობის საქმეში.

აქ ვიწროა ეს ქუჩა და ხშირად შეუძლებელი ხდება მოძრაობა. ასეა ეხლაც. თავი მოიყარეს ეტლებმა, ურმებმა, ფურგუნებმა, გაიჭედა ვიწრო ქუჩა.

არის ერთი ალიაქოთი. ანაზდად ამ აყალ-მაყალში თავი შემოყო ჩოჩორმა, რომელიც ძლივს მოათრევდა ვაშლით სავსე ტაჭკას. ამ ტაჭკაზე ერთი ზორბა ვაჟკაცი იჯდა. [illegible] პირუტყვი უმალვე მიხვდა, რომ გასაქანი არ იყო და შეჩერდა. მეხილე გადმოხტა, ბედაურს კუთხისაკენ მიუბრუნა თავი და შეაყენა. მერე შემობრუნდა. ქამარი შეისწორა და ჭუჭყიანი წინსაფარით წმენდა დაუწყო ვაშლებს.

— ანტონოვსკი, მიროვოი ანტონოვსკი იაბლუკ. ჰაი იაბლუკუკ... დაიწყო ზორხი ხმით. მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

კარგა ხანს ყვიროდა „ყარაჩოღელი“, მერე რაღაც უშვერი სიტყვებიც მოაყოლა, რომელიც ძნელი გასარჩევი იყო ირგვლივ დამდგარ მშენებლობის ალიაქოთის გამო. ბოლოს მეხილემ სახლის სახურავზე შემდგარი მომუშავე გოგონები შენიშნა. „ყარაჩოღელი“ შედგა, მკერდი წინ წამოიწია, ქუდი კეფაზე მოიგდო, ეშმაკურად გამოაჩინა შუბლზე ქოჩორით დახატული „ლასტოჩკა“, და დაკოდილი მიჯნურის მელანქოლიური ჰანგით დაალაღინა:

მიხალს რა უნდა პანტის ხეზე,
ხალს რა უნდა შენს სახეზე?
მითხარი თუ რა ხალია ეგ ხალი—
ახალია, თუ ძველია ეგ ხალი?

არც ამისათვის მიუქცევიათ ყურადღება. ის მაინც კარგახანს შესცქეროდა გოგონებს. მერე, თითქოს გაბრაზდაო, მარცხენა ხელით აღებული ვაშლი მაღლა აისროლა, დაიჭირა, დააკვირდა, ისევ წმინდა დაუწყო და გაპრიალებული ვაშლი ტაჭკაზე დადო.

უმალვე საჩვენებელი თითი აჰკრა კეფაზე მოქცეულ ქუდს, შუბლზე წამოიწია, „ლასტოჩკა“ დამალა და ნაღვლიანად გაება ღიღინი, რომელიც უეცარმა გუგუნმა დაფარა.

— ვაა, ურჩხელუმია?! ადე ვირო, ფათერაკს არ გადამკიდო!—ხელი წაავლო თავის ბედაურს აღვირში და კუთხეში მიიმალა.

—:—

...ის ლაღუ გასკდა, ეს ამანალმა იფეთქა, სოლინატი აგუგუნდა, კლდეს გულ[illegible] ძირს ჩამოშვავდა ლოდებად დახსნილი.

—:—

„კალიაევის დაღმართის რეკონსტრუქციით გადაიჭრება ქალაქის ორი უდიდესი ნაწილის შეერთების საკითხი, რომელიც წარმოადგენს ავლაბარ-ნავთლუღის ასეულ ათას მცხოვრებთა და „26“-ს სახელობის რაიონის სასიცოცხლო ინტერესებს“ — (ლ. ბერია).

ამ დიდი ამოცანის შესრულებისათვის ენერგიულად იბრძვიან მუშები ორი ახალგაზრდა ინჟინერის **ვ. სალუქვაძის** და **ნ. სლავინსკის** მეთაურობით.

—:—

კალიაევის დაღმართის გაზაფხულისათვის ტფილისში შემოყვება ტრამვაის ახალი რკინის გზა, რომლის დაგება ამ რამოდენიმე თვის წინად დაიწყო სად. ნავთლუღსა და რადიო სადგურს შორის ამართულ ფაბრიკა-ქარხნებთან.

ტრამვაის ახალი ხაზი კახეთის მოედნამდე მოვიდა.

ეს ნამდვილი რკინისგზაა, რომელსაც ქალაქის შუა გულში თამამად შემოჰყვება ჩვეულებრივი სახალხო მატარებლები. ეს განიერი რკინისგზა გაარღვევს ტფილისის ვიწრო ქუჩებს და მოივლის ყველა უბნებს.

ამ დიდი გეგმებისათვის მებრძოლ მუშებთან ვდგევარ მე ახლა და მივემართები ტფილისის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოებულ მშენებლობათა დასათვალიერებლად — კახეთის მოედნიდან სოღანლუღამდე.

პოლიო აბრამია

1933 წ. ოქტომბერი.

მეჩონგურეთა გუნდი

სახელმწიფო აკადემიურ გუნდთან ჩამოყალიბდა მეჩონგურე ქალთა ორკესტრი. იმავე ორკესტრის წევრები მღერიან მრავალ გურულ, ხალხურ სიმღერას ოთხ ხმაზე. ამ საქმის მოსაგვარებლად მოწვეულ იქნა ბათომიდან ძველი სახალხო ლოტბარი, და მუსიკოსი **აქსენტი მეგრელიძე.**

უნდა აღინიშნოს, რომ გურია ძალიან გამოირჩევა საქართველოს სხვა კუთხეებისაგან ხალხური სასიმღერო მასალების სიმდიდრით. გურიაში ძალიან განვითარებულია აგრეთვე ჩონგურზე დაკვრა და მაზე დამღერება. ჩონგურზე შეწყობილი აკომპანიმენტი ამჟამად იმდენად განვითარებული გურიაში, რომ იქ იშვიათად მოისმენთ ისეთ **ხალხურ სიმღერას, რომ ჩონგურზე** არ დაიმღერონ, მეჩონგურე მას აუცილებლად აკომპანიმენტს შეუწყობს.

აკად. გუნდის ხელმძღვანელმა **კოტე ფოცხვერაშვილმა,** ყურადღება მიაქცია ჩონგურს, როგორც ხალხური სიმღერებისათვის საკომპანიმენტო ინსტრუმენტს, მოხმარების საქმეს და ამ მიზნით მას სათანადოდ გამოიყენა ა. მეგრელიძის ცოდნა და უნარი.

ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით გუნდმა ამ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში შეისწავლა ათამდე გურული ხალხური სიმღერა ოთხ ხმაზე, უცვლელად ისე, როგორც ამას სადმე გურიანთაში ან აკეთში (გურიის სოფლებია) თითონ ხალხი მღერის. მეჩონგურეთა ორკესტრმა,—ჯერ-ჯერობით ჩონგურის სათანადო რაოდენობით უქონლობის გამო გუნდიდან ჩონგურზე დამკვრელად გამოყოფილია 7-8 მომღერალი ქალი,—შეისწავლა 7 გურული ხალხური სიმღერა ჩონგურის აკომპანიმენტით.

გუნდისა და მეჩონგურეთა ორკესტრის კონცერტები გაიმართა ტფილისში, ოქტომბრის მე-16 წლის თავზე, პოლიტკატორღელთა კლუბში და სახკომსაბჭოს დიდ დარბაზში. ხალხი ორივეგან აღტაცებით შეხვდა ამ სიმღერებს და ტაშით დააჯილდოვა ა. მეგრელიძე, რომელიც ჩონგურის ორკესტრის გადმოცემით სავსებით იცავს ნამდვილ ხალხურ კოლორიტს.

ქუთაისშიაც გაიმართა, ნოემბრის 24, ორი ასეთივე კონცერტი; ერთი დილით მოწაფეებისათვის და მეორე საღამოთი მოსახლეობისათვის. ქუთაისი ჩვეული გულუხვობით შეხვდა ამ კონცერტებს.

მეჩონგურეთა ორკესტრის ჩამოყალიბებას და გურულ-მეგრული ხალხური სიმღერების ქალ-ვაჟთა გუნდის მიერ ოთხ ხმაზე შესრულებას უაღრესად ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ კომპ. კოტე ფოცხვერაშვილმა ჩასწერა [illegible] მეგრელი მეჩონგურეების ძმების **აკობიების** მიერ ჩონგურზე დანამღერები მრავალი მეგრელი, ახალი ხალხური საკოლმეურნეო სიმღერა, რომელსაც გუნდი და მეჩონგურეთა ორკესტრი სულ ახლო მომავალში შეისწავლის.

გარდა იმისა, რომ ყოველივე ეს ჩაიწერება შეისწავლება და ჩამომავლობა გადაეცემა,—მას კიდევ ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ აქვე, ტფილისში, გააცნობს უცხოელებს და ჩვენი კავშირის სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებს ქართულ ხალხურ სიმღერებს, რომელიც ასე მდიდარია თავისი კონტრაპუნქტით და ჰანგების [illegible].

ახლა მოკლედ ორიოდე სიტყვა ამხ. მეგრელიძის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ა. მეგრელიძე განაგრძობდა მუშაობას ტფილისში განათლების კავშირში. უკანასკნელი შვიდი წელიწადი ის ისევ გურიაში მოღვაწეობდა სახალხო სიმღერების შესწავლისა და ნოტებზე გადაღების საქმეში. სწორედ ამ ხანებში გაეცნო ის უფრო დაწვრილებით და შეისწავლა ჩონგურის აკომპანიმენტი. მან მონაწილეობა მიიღო 1929 წ. ტფილისში მოწყობილ ოლიმპიადაში თავისი სუფსელი 60 გლეხისგან შედგენილი გუნდით; აქ ჟიურიმ მის გუნდს მესამე ჯილდო მიუსაჯა.

მკითხველის ყურადღება ჩვენ ა. მეგრელიძეზე იმიტომ შევაჩერეთ, რომ მისი მოღვაწეობა ხალხური სიმღერების დარგში სხვა სახალხო ლოტბარებისაგან იმით განსხვავდება, რომ მან, როგორც მუსიკის მცოდნემ, თავისი ხალხური სიმღერების ცოდნა ნოტებზე გადაიტანა. მას აურაცხელი ხალხური და საჩონგურო სიმღერა აქვს ჩაწერილი, სამ და ოთხ ხმაზე, როიალის აკომპანიმენტით, რომელიც ძალიან სასურველია გამოიცეს.

ის დღესაც ენერგიულად განაგრძობს ამ დარგში მუშაობას და ვიმედოვნებთ, რომ კიდევ მრავალი სიმღერების ჩვეულს შესძენს ქართულ სასიმღერო ფოლკლორს.

რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელმა სანდრო ახმეტელმა მოიწვია ა. მეგრელიძე თეატრის მუშაკებისათვის დასავლეთ საქართველოს სიმღერებისა და ჩონგურზე დაკვრის შესასწავლად.

ლადო გეგეჭკორი.

მუსიკა

საზ. კონსერვატორიის სტუდენტთა კონცერტი

11 დეკემბერს საკონსერვატორიაში, გაიმართა ამავე კონსერვატორიის სტუდენტთა კონცერტი, რომელმაც ერთხელ კიდევ ნათელჰყო კონსერვატორიის სტუდენტთა [illegible]. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა მომღერლები: **მერი ნაკაშიძე,** [illegible]ხარაძე, **კრავეიშვილი, ვართანოვა, სიმ. კუხიანიძე, გივ. ყიფიანი, მეპუკე, დავ. გამრეკელი**—მომავალი საუკეთესო საოპერო ძალებია. მნიშვნელოვანად წინ წავლა ეტყობათ ძმებს **შანიძეებს** (კვარტეტი), ამის საუკეთესო ილუსტრაცია იყო 11 დეკემბერს მათ მიერ შესრულებული, **ჩაიკოვსკის და აზმაიფარაშვილის** ნაწარმოები. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს **ნინა გოგოლაშვილი** (ფორტეპიანო) და **ბარნაბიშვილი** (ჩელო) სასურველია ასეთი კონცერტები მოეწყოს სისტემატიურად.

ზაქარია ფალიაშვილის ხსოვნის საღამო.

ქუთაისის წითელ არმიის სახლში გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად საღამო - კონცერტი.

◆ **კომპოზიტორ ჩაიკოვსკის ხსოვნის საღამო** 24 დეკემბერს საქ. საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი სახელ. კონსერვატორიის დარბაზში მართავს კომპოზიტორ ჩაიკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავ საღამო-კონცერტს.

● **ლეო შიუკაშვილის კონცერტი.** 17 დეკემბერს სახკონსერვატორიის აუდიტორიაში შესდგება კონცერტი ახალგაზრდა მუსიკოსის (ვიოლინოზე დამკვრელი) ლეო შიუკაშვილის, რომელიც ეხლახან დაბრუნდა ლენინგრადიდან, სადაც იგი გაგზავნილ იყო უმაღლესი მუსიკალური ცოდნის მისაღებად.

◆ **„აიდა“ ქართულად.** სახელმწიფო ოპერაში 30 დეკემბერს, ახალი დადგმით წავა ვერდის ოპერა, „აიდა“. ქართული ტექსტით. თარგმანი ეკუთვნის **ალექსანდრა ჭყონიას.** ოპერას სდგამს მოსკოვიდან მოწვეული რეჟისორი **სმოლიჩი.** ესკიზების შედგენა და ოპერის საერთო მხატვრული გაფორმება, მინდობილი აქვს მოსკოველ მხატვარ **სოკოლოვს.**

◆ **სახფილის საზამთრო სეზონი.** საქ. ფილის დირექცია საზამთრო საკონცერტო სეზონს ხსნის 20 დეკემბერს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში. სახფილის [illegible] წელს მოწვეულია მაღალხარისხოვანი ვოკალისტები და შემსრულებლები.

◆ **1934 წელს** სახელგამთან ჩამოყალიბებულ მუსიკალური სექტორი გამოსცემს 15 ქართველ კომპოზიტორის მუსიკალურ ნაწარმოებს.

თეატრი

ქუთაისის სახ. თეატრის სეზონის გახსნა

5 დეკემბერს გაიხსნა თეატრის სეზონი პეტრე **სამსონიძის** პიესა „**სალტე**“-თი. დადგმა რეჟისორ **არ. ჩხარტიშვილის,** მხატვარი — **ირ. მდივანი.** თეატრის სამხატვრო ნაწილს ხელმძღვანელობს რეჟისორი **ვასო კუშიტაშვილი.** მორიგ პრემიერად მიდის **ბენ ჯონსონის** პიესა „**ვოლპონე**“. განახლებული იქნება **იონა ვაკელის** ორიგინალური კომედია „**აპრაკუნე ჭიმჭიმელი**“.

★ **რესპ. დამსახ. არტისტის ნიკო გოცირიძის იუბილე.** მიმდინარე წელს დამსახ. სახალხო არტისტს **ნიკო გოცირიძეს** შეუსრულდა სასცენო მოღვაწეობის 40 წელი. ამ თარიღის აღსანიშნავად **კ. მარჯანიშვილის** სახელობის თეატრს განზრახული აქვს მოაწყოს საზეიმო საღამო-იუბილე.

◆ **„ოპტიმისტური ტრაგედია“.** მიმდინარე წელს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი დასდგამს რუს დრამატურგის **ვს. ვიშნევსკის პიესა** ოპტიმისტურ ტრაგედიას“. პიესას დადგამს ამავე თეატრის მსახ. ქალი **ვერიკო ანჯაფარიძე,** პიესა სთარგმნა ქართულად **მიხ. ცაგარელმა.**

◆ **„კარგი ცხოვრება“.** მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრმა თავის რეპერტუარში შეიტანა 1934 წლის იანვარში დასადგმელათ **სერგო ამაღლობელის** ახალი ორიგინალური კომედია „**ახალი ცხოვრება**“.

◆ **რუსთაველის** თეატრი ამჟამად მუშაობს დრამატ. **გერცელ ბააზოვის** პიესა „ხაგაი“-ზე პიესის მხატვრული გაფორმება მინდობილი აქვს ახალგაზრდა მხატვარ **სერგო ქობულაძეს.**

ლიტერატურა

დისკუსიები შემოქმედებით საკითხებზე

7 დეკემბერს საღამოს ამხ. **ბ. ქიქოძემ** წაიკითხა მოხსენება თემაზე, „**საქართველო** რევოლუციური რომანტიზმის ქვეყანაა“. მომხსენებელი შეეცადა განესაზღვრა რევ. რომანტიზმის ცნება, გაერკვია ამ ლიტერატურული მიმდინარეობის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები და შემდეგ წამოაყენა დებულება, რომ ახალი მოწინავე ლიტერატურა საქართველოში ვითარდება რევოლუციური რომანტიზმის ნიშნის ქვეშ.

მომხსენებლის მიერ რევოლუციური რომანტიზმის ცნების განმარტებამ და აგრეთვე მისმა მოსაზრებამ, რომ „საქართველო რევოლუციური რომანტიზმის ქვეყანაა“ — დიდი დავა გამოიწვია. დისპუტი გაგრძელდა სამ დღეს. კამათში გამოვიდნენ: **ალ. [illegible]შვილი, კ. გამსახურდია, შ. შავგულიძე, ჭიქელაძე, გ. ნადირაძე, ალი არსენიშვილი, სიმ. ჩიქოვანი, კონსტ. ლორთქიფანიძე, ხ. ეული, მათიაშვილი, ხ. ზომლეთელი, ფრ. ნაროუშვილი, დ. დემეტრაძე, ბ. ჟღენტი** და სხვ.

—:—

◆ **„ვოლტერიანობა საქართველოში“.** გამოვიდა და იყიდება **ლევან ასათიანის** წიგნი „ვოლტერიანობა საქართველოში“ გამოცემა სახელგამის.

◆ **„პირისპირ“.** გამოვიდა ალ. ქუთათელის რომანი „**პირისპირ**“. გამოცემა სახელგამის.

◆ **„ბესიკი და მისი დრო“.** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა **გიორგი ლეონიძის** ვრცელი მონოგრაფია „**ბესიკი და მისი დრო.**

◆ **„პირველი ქარტეხილი“** დაიბეჭდა **პეტრე სამსონიძის** მოთხრობა„ პირველი ქარტეხილი“, გამოცემა სახელგამის.

● **ბელა ილეშის ჩამოსვლა.** ამჟამად სოხუმში იმყოფება ცნობილი რევოლიუციონერი უნგრელი მწერალი **ბელა ილეში** იანვარში ბელა ილეში ჩამოვა თბილისში

◆ ამიერ-კავკასიის სამეცნიერო აკადემიის მეცნიერულმა თანამშრომელმა **მ. ხუბუამ** ქართულად გადმოთარგმნა ცნობილ თანამედროვე სპარსელი მწერლის **ჯემალ ზადის „ზღაპრები და ნამდვილი ამბები“.**

◆ **შარდენის „მოგზაურობა საქართველოში“.** სახელგამი ბეჭდავს ცნობილი ფრანგი მოგზაურის, შარდენის „საქართველოში მოგზაურობა“-ს. თარგმ. **ვ. ბარნოვის** წინასიტყვაობა და კომენტარიები ეკუთვნის **აკ. გაწერელიას.**

◆ **ქართველი მწერლები რუსულად.** გამომცემლობა „საბჭოთა ლიტერატურა“-მ გამოსცა რუსულ ენაზე **მიხ. ჯავახიშვილის** ისტორიული რომანი „**არსენა მარაბდელი**“ იგივე გამომცემლობა მომავალში გამოსცემს **პანტელეიმონ ჩხიკვაძის „ნაბიჯებს“** და **კონსტ. ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“-ს.**

◆ **„ქარიშხლის ფრთებზე“** — იბეჭდება და მალე გამოვა **საფო მგელაძის** წიგნი „**ქარიშხლის ფრთებზე**“ გამოცემა „**ფედერაციის**“.

◆ **„ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ცნობილი ესპანური მოთხრობა „**ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება**“. (თარგმანი [illegible]შვილისა). წინასიტყვაობა და შენიშვნები აკ. გაწერელიასი. გამომც. „ფედერაცია“.

★ **ლადო გეგეჭკორის** საბავშვო წიგნი. იბეჭდება და მალე გამოვა **ლადო გეგეჭკორის** საბავშვო წიგნი. „**რა დროა**“. წიგნის მხატვრული გაფორმება და ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვარ **[illegible] ნადარეიშვილს.**

◆ **„ვარდნილი“.** დაიბეჭდა და მალე გამოვა გასასყიდათ **იაკინთე ლისაშვილის** რომანი „**ვარდნილი**“. გამოცემა „ფედერაციის“.

◆ **გიორგი ლეონიძის ლექსების წიგნი.** იბეჭდება და მალე გამოვა გიორგი ლეონიძის ლირიკის პირველი ტომი. ლექსების წიგნში მოთავსებულ იქნება 1923 წლიდან 1933 წლამდე დაწერილი ლირიკული ლექსები.

◆ **ალ. სულავას წიგნი.** გამოვიდა ალ. სულავას წიგნი „**ფილიპე მახარაძე როგორც კრიტიკოსი**“ გამოცემა სახელგამის.

მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში

★ **„რიონჰესი“.** რიონჰესის გახსნასთან დაკავშირებით ქუთაისის მწერალთა კავშირი გამოუშვებს კრებულს „რიონჰესი“. კრებულში მონაწილეობას მიიღებენ: **დარასელი, პ. ხმალაძე, შ. ჩარკვიანი, გ. [illegible], გუგუშვილი, მ. ალავიძე, გ. კეშელავა, გ. ლორთქიფანიძე, ილ. ხოშტარია.**

★ **„ნაირმალი“.** ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა მიიღო **დია ჩიანელის** 4 მოქმედებიანი პიესა „ნაირმალი“.

★ **„ლიტერატურული ფურცელი“.** მწერალთა პრეზიდიუმის და რედაქციის პასუხისმგებელ მუშაკთა გაერთიანებული თათბირის დადგენილებით გაზ. „მუშა და კოლმეურნე“-ში **გამოშვებული** იქნება ლიტერატურული ფურცელი, რომლის რედაქტორობა დაეკისრა ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ამხ. **დია ჩიანელს.**

★ **დია ჩიანელის ახალი წიგნი. „ორბი“.** აქ საბჭოთა მწერლების ქუთაისის განყოფილება. „საბჭოთა მწერლის“ გამომცემლობამ გამოსცა **დია ჩიანელის** მოთხრობა „**ორბი**“. წიგნი უკვე გამოვიდა ბაზარზე გასასყიდად.

★ **მოხსენებები.** მწერალთა კავშირში სისტემატიურად იკითხება მოხსენებები ლიტერატურისა და ფილოსოფიის პრობლემებზე. 6 დეკემბერს მოსმენილ იქნა ამხ. **პარმენ გუჯაბიძის** მოხსენება „**ლენინური ეტაპი მარქსისტულ** ფილოსოფიაში“.

★ **საბავშვო კრებული.** გამოდის საბავშვო კრებული, სადაც დაიბეჭდება: **თ. ჩიხლაძის, ლეო იმნაძის, ევგ. ფურცხვანიძის** და სხვათა ნაწარმოებები.

★ **მწერალთა და ახალწვეულთა შეხვედრა.** ორ დეკემბერს, მესამე ლეგიონის კლუბში მოხდა საბჭოთა მწერლების და ახალწვეულთა საზეიმო შეხვედრა.

—:—

ლიტ მუშაობა კ. წ. დრ. არმიის ქართულ ნაწილებში

საღამო პირველ ქართულ მსროლელ ლეგიონში

18 ნოემბერს პირველ ქართულ მსროლელ ლეგიონში მოეწყო ხელოვნების მუშაკთა და წითელ მხედართა შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა და რუსთაველის თეატრის მსახიობებმა. ლექსები წაიკითხეს: **გ. ქუჩიშვილმა, ქორქიამ, ალ. გომიაშვილმა, კ. ბობოხიძემ, მიქელ პატარიძემ, ს. ერთაწმინდელმა** და ადგილობრივ დამწყებ მწერლებმა. სიტყვები წარმოსთქვეს: პირველი ლეგიონის კლუბის უფროსმა **კუპატაშვილმა,** რუსთაველის თეატრის მსახიობმა **ქანთარიამ** და პოეტმა **გ. ქუჩიშვილმა.**

საწრეო მუშაობა არმიაში

კ. წ. დროშოსან არმიაში, საზამთრო პერიოდის წრეებში მუშაობა დაიწყო ა-წ. 1-ლ დეკემბრიდან. წითელ არმიის სახლთან არსდება ტფილისის გარნიზონის სამხედრო მწერალთა ჯგუფი, მეცადინეობა იწარმოებს ქართულ და რუსულ ლიტწრეებში. გარდა წითელ არმიის სახლისა ქართული ლიტწრეები იმუშავებენ არტლეგიონის პირველ ლეგიონის და მე-6-ე ლეგიონის ყაზარმებშიაც. პირველი დივიზიის ლიტწრეების ლიტ. მუშაობას აწარმოებს საქ. მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების სამხედრო სექცია, პირველი დივიზიის სამხკომის ამხ. **უგულავას** ხელმძღვანელობით.

საბავშვო თეატრის და დრამატურგიის საკითხები

საუკეთესო პიესაზე გამოცხადებულმა კონკურსმა, მოზ. მაყ. დრამატურგთა წინაშე დასვა მოზ. მაყურებელთა თეატრისათვის რეპერტუარის შექმნის საკითხიც, როგორც გადაუდებელი ამოცანა, მე მინდა ვილაპარაკო იმ დამაბრკოლებელ მიზეზებზე, რომელიც დღევანდლამდე ხელს უშლიდენ და უშლის ალბად ასევე დარჩება მომავალში, თუ საბჭოთა ფართე საზოგადოებრიობის ყურადღება არ დაირაზმა, ამ გადაუდებელ საკითხის მოსაგვარებლად.

კონკრეტულად უნდა დაისვას საკითხი ვინ არის დამნაშავე, თეატრი თუ დრამატურგი, რომ დღევანდლამდე მოზ. მაყ. თეატრის რეპერტუარი, იმ სიმაღლეზედაც კი ვერ ავიყვანეთ, რომელზედაც, ასე თუ ისე, ავიდა სხვა თეატრების რეპერტუარი?.. დამნაშავეა ორივე—დრამატურგიც და თეატრიც, მაგრამ ყველაზე დამნაშავე ჩვენი საზოგადოებრიობაა, რომელიც თავის დუმილით ხელს უწყობს, ჩამორჩენას თეატრალური ფრონტის ამუშავებაზე, ჩვენი პრესა იშვიათად ეხება მოზ. მაყ. თეატრის საქმიანობას, ჩვენი კრიტიკოსები გვერდს უქცევენ თეატრის დადგმებს და მისი პიესების შესწავლას.

ყველამ იცის, როგორ გამოეხმაურა ჩვენი პრესა „ინტირანსის“ დადგმას „კომუნისტი“, „ლიტ. გაზეთი“, „საბჭოთა ხელოვნება“ და სხვ. ყველა ერთნაირად დაირაზმა, მთელი გვერდები მიუძღვნეს და მთელი თვეები მოანდომეს ამ დადგმის განხილვას. რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სხვადასხვა ორგანოები ერთმანეთს ეჯიბრებიან,—ვინ მეტს და უკეთესს იტყვის „ინტირანსზე“. ეს უთუოდ საჭიროა, მაგრამ ამავე დროს, მოზ. მაყ. თეატრის ბევრი დადგმა უკვალოდ დაიკარგა და ზოგიერთზე თუ სთქვა რამე პრესამ, ისიც მოკლედ, ზერელედ, და შემთხვევით.

„სალიტერატურო გაზეთმა“ მთელი გვერდი უძღვნა საბავშვო ლიტერატურის განხილვას და საბავშვო დრამატურგია კი გამორჩა. სამწუხაროდ, დღევანდლამდე მოზ. მაყ. თეატრის მხოლოდ ერთ დადგმაზე ქონდა რეცენზია. წინათ „კომუნისტი“ თუ ათასში ერთხელ მაინც იტყოდა. ამ თეატრის ავსა და კარგზე. უკანასკნელ ხანებში სრულიად მიდუმდა. ასევე ითქმის „ახალგაზრდა კომუნისტზე“, რომელიც ყველაზე მეტს უნდა ზრუნავდეს ამ თეატრის კეთილდღეობისათვის. ასევე მოიქცა გაზ. „მუშა“.

ათასში ერთხელ პრესა ახსენებს ამ თეატრს, მაგრამ ამას შემთხვევითი ხასიათი აქვს და არა —სისტემატიური; ეს ხდება არა მოვალეობის შეგნებით, არამედ იძულებით, რაიმე გარემოებასთან დაკავშირებით (სეზონის გახსნა, დახურვა, საზეიმო წარმოდგენები და სხვ.).

მეორე: ბევრს ჩვენს კრიტიკოსს მოზ. მაყ. თეატრის დადგმები არც კი უნახავს. ცხადია მას სურვილიც, რომ ქონდეს თქვას რამე, ამ თეატრის შესახებ, ვერ იტყვის რადგან არ იცნობს და არც ამბობს, შეუწყნარებელია, როდესაც კრიტიკოსი საერთო მსჯელობას დაიწყებს ამ თეატრის შესახებ იტყვის ორიოდე სიტყვას, აღნიშნავს ფაქტს, რომ რაღაც ასეთი არსებობს და ამით ამოწურავს საკითხს. შარშან ოქტომბრის 15 წლის თავზე საქ. დრამკომმა მოაწყო საზეიმო საღამო. ამ საღამოს ამხ. ბესო ჟღენტმა აკეთა მოხსენება ქარ. საბჭ. დრამატურგიაზე; ვრცელი ანალიზი გააკეთა ქარ. დრამატურგიის განვითარებისა—განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მაგრამ დაავიწყდა. მოზ. მაყ. თეატრი და მისი დრამატურგია, (დრამატურგები კი ამ თეატრს საკმაოდ ჰყავს: შ. დადიანი, აკ. ბელიაშვილი, კ. კერესელიძე, გ. დარისპანაშვილი, გ. როსება, და სხვა). ე. ი. ის თეატრი, რომელიც მხოლოდ ოქტომბრის შემდეგ იშვა და შეიცავს სრულიად ახალ ფორმას და შინაარსს; ჩვენი კულტურულ ფრონტის საერთო ჯამში მოზ. მაყ. თეატრი ერთი თვალსაჩინო მონაპოვართაგანია და სწორედ ის დაავიწყდა!

ასევე მოიქცა ამხ. ბესო, შარშან აპრილის თვეში, დრამატურგიის საწარმოო თათბირზე.

„საბჭოთა ხელოვნება“-მ თავის ერთ-ერთ მეთაურ წერილში დაწვრილებით განიხილა მარჯანიშვილის და რუსთაველის თეატრის რეპერტუარი, შეეხო გაკვრით სხვებსაც, მხოლოდ მოზ. მაყ. თეატრი, როგორღაც გამორჩა და მის შესახებ სამსვეტიან წერილში მხოლოდ 5 სტრიქონით დაკმაყოფილდა.

ამხ. შ. დუდუჩავა ძალიან ხშირად სწერს თეატრალურ, დრამატურგიისა და ხელოვნების საკითხებზე, მაგრამ, არსად არც ერთ თავის წერილში გაკვრითაც კი არსად ეხება მოზ. მაყ. თეატრს და მის დრამატურგიას.

რატომ არ აქცევს ყურადღებას ჩვენი პრესა და კრიტიკა მოზ. მაყ. თეატრს? რით დაიმსახურა თეატრმა ასეთი დამოკიდებულება? ჩვენში ამ ფორმის თეატრი, სრულიად ახალი მოვლენაა და მას არ იცნობენ. ალბად ზოგიერთები ფიქრობენ რაკი თეატრი საბავშვოა, იქ ყველაფერი ბავშურად კეთდება.

ისიც კი არ იციან, რომ ეს თეატრი პროფესიული თეატრია, იქ მუშაობენ საუკეთესო კვალიფიკაციის მსახიობები, ხელისუფლება უაღრესად დიდ ყურადღებას აქცევს და საკმარისად დიდ თანხებს ხარჯავს ამ თეატრზე.

პრესამ და ჩვენმა კრიტიკამ კი თეატრის ავტორიტეტი დღევანდლამდე ვერ აიყვანა შესაფერ სიმაღლემდე. ალბად ეს არის ერთი ერთი მიზეზთაგანი, რომ დრამატურგები მას თავს არიდებენ, მისი რეპერტუარისათვის არ ზრუნავენ.

ვთქვით და ვიმეორებთ: მოზ. მაყ. თეატრი ოქტომბრის მონაპოვარია. ამ ფორმის თეატრს არავითარი მემკვიდრეობა არ დარჩენია წარსულიდან იგი ეხლა შეიქმნა და თანდათან ვითარდება, ამიტომ შესაძლებელია არც ერთი ფორმის და მიმართულების თეატრს, ისე არ სჭიროდეს დრამატურგი, როგორც ამ თეატრს, ვინაიდან თეატრს ქმნიან უპირველეს ყოვლისა დრამატურგები და შემდეგ სხვები.

ნამდვილი საბჭოთა თეატრიც, საბჭოთა დრამატურგმა უნდა შექმნას. საბჭოთა დრამატურგი კი თავის გასაქანს ყველაზე წინ იპოვის იმ ორგანიზაციაში, რომელიც ოქტომბრის წიაღში იშვა და დღეს კომუნისტური აღმზრდელობის საერთო სისტემაში შედის. ჩვენი დრამატურგები ამას ანგარიშს არ უწევენ. რუსეთში კი საუკეთესო დრამატურგები მუშაობენ მოზ. მაყ. თეატრისათვის. მაგ. აფინოგენოვმა დასწერა რამდენიმე პიესა.

ჩვენი დრამატურგები კი მოზარდ მაყ. თეატრისათვის პიესების წერას თავის დამცირების შიშის გამო გაურბიან. მათ შიშს აქვს რაიმე საფუძველი? არა, არა აქვს!

თემატიურად ბავშვსაც იგივე აინტერესებს რაც დიდებს (მაგ. სოც. მშენებლობა, განვლილი რევოლიუციონური ბრძოლები, ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები, თავდაცვა და სხვა).

ფაბულა—საბავშვო პიესაში, ბევრად უფრო ძარღვიანი და მტკიცე უნდა იყოს. სიუჟეტი—მრავალფეროვანი და მდიდარი.

ენა—მარტივი, სადა და უაღრესად მხატვრული. დრამატურგიულად—პიესა უთუოდ უნდა იყოს გამართული, მოქმედებებით სავსე და მდგომარეობათა ცვლით დაუშრეტელი. საერთოდ კი მოზ. მაყ. თეატრში, პიესა, თუ მხატვრულად მაღალი ღირსების არ არის და იდეოლოგიურად ჯანსაღი, შეუწყნარებელია მაყურებელს აჩვენოთ. ერთად-ერთი განსხვავება დიდი თეატრების პიესებთან შედარებით მასალის გადაცემის მეთოდშია, მაშ რა საფუძველი აქვთ ავტორებს როდესაც ისინი უკადრისობენ საბავშვო პიესების წერას? ჩვენის ღრმა რწმენით მიზეზი უნდა ვეძიოთ, შემდეგში, დრამატურგების უმეტესობა ვერ ხედავს განსხვავებას მოზარდის დიდის მოთხოვნებსა და ინტერესებს შორის. ეს შემცდარი აზრია; ბავშვი დამოუკიდებელ ფსიქო-ფიზიოლოგიის მატარებელია და იგი ცხოვრობს თავის საკუთარ „ქვეყანაში“, მას აქვს თავისებური ფიქრი, აზროვნება, მიდრეკილება და რომანტიკა. ავტორი კი უთუოდ დასრულებული მოქალაქეა და მოაზროვნე. იგი ფიქრობს და აზროვნებს ისე, როგორც სოციალურ გარემოში მომწიფებული და დასრულებული მოქალაქე, მას თავისი „ქვეყანა“ აქვს, ცხადია, ილაპარაკო და სწერო ისე, როგორც შენს „ქვეყანაში“, შენს ტოლებთან უფრო ადვილი საქმეა. ვიდრე „სხვა ქვეყანაში“ მცხოვრებთან, აი სწორედ, ამიტომ ძნელია საბავშვო პიესების და საბავშვო მხატვრული ლიტერატურის შექმნა. ამის შემდეგ ცხადია.

ასე თუ ისე, უკანასკნელ ხანებში დრამატურგებმა თითქოს პირი იბრუნეს მოზ. მაყ. თეატრისაკენ და ეს უთუოდ კარგის მომასწავებელია. საჭიროა ამას თეატრი შესაფერისად შეხვდეს. დღემდე, თუ თეატრის ხელმძღვანელი ამხ. **ალ. თაყაიშვილი** ყველგან და ყოველთვის ჩიოდა, ორიგინალურ რეპერტუარის სიმცირეს, ამაში მარტო საზოგადოებრივი აზრი და დრამატურგები კი არ იყვნენ დამნაშავენი, არამედ, ყველაზე მეტად, თითონ თეატრი. წარსულში ძალიან ხშირად ჰქონდა ადგილი ავტორებთან დამოკიდებულების ამაშფოთებელ ფაქტებს, მაგ.: მიტანილ პიესების უკვალოდ დაკარგვას, ავტორთა უფლებების აბუჩად აგდებას, დრამატურგიულ ნაწარმოებების თვითნებურ შესწორებას და სხვა. ყოველივე ამ მიზეზთა გამოც, დღევანდლამდე ვერ შეიქმნა თეატრთან ავტორების გარკვეული ჯგუფი; განსაკუთრებით ხაზგასასმელია ძველი დირექტორების ავტორებისადმი (დირექტორები კი თვეში ერთი იცვლებოდა!) უხეში მოპყრობა—აბუჩად აგდება დაცინვა და ლანძღვაც კი.

საჭიროა ძველი დამოკიდებულების ყოველგვარი ნაშთი გადაჭრით უარყოფილი იქნას. საჭიროა თეატრისაკენ მობრუნებული დრამატურგები საბოლოოდ შეითვისონ მან. ერთხელ და სამუდამოდ საჭიროა პრესისა და საზოგადოებრივი აზრის დარაზმვა მოზ. მაყ. თეატრის ავტორიტეტის ასაწევად, საჭიროა დრამატურგების და თეატრის მჭიდრო კავშირი და პედაგოგ მეცნიერების და საქმიანი დახმარება. ბოლო უნდა მოეღოს საქმის წახდენის ერთიმანეთზე გადაბრალებას. ამას მოითხოვს ჩვენი ნორჩი თაობა, ამას მოითხოვს ჩვენი ეპოქა და ჩვენი საზრუნავიც სწორედ ეს არის.

სიმ. მთვარაძე

სარედაქციო კოლეგია: **დ. დემეტრაძე,** (პ.-მგ. რედ.), **რ. გვეტაძე,** (პ.-მგ. მდივანი), **ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი, ნ. ზომლეთელი, ლ. ქიაჩელი, ბ. ჟღენტი**

[illegible] „კომუნისტი“ სტამბა 68

მთავლიტი 2018.